საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბოჭდ-ვუტი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 16 ოქტომბერი. 2019 წ. №205 (8871) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ბუმერანგად დაბრუნებული დემოკრატია!

③

ოცნების და იმედის 7 წელი

ალექსეი ლევინსონი:



რუსებს არც ერთი ერი არ უყვართ!

⑧

რუსეთში ყველას დაავიწყდა 2008 წლის ომი...

გიორგი გახარიას ოფიციალური ვიზიტი სომხეთში

საქართველოს მთავრობის მეთაურის გიორგი გახარიას ოფიციალური ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანთან შეხვედრით დაიწყო.

გიორგი გახარიას პატივსაცემად, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახლში დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. ქართველ კოლეგას ნიკოლ ფაშინიანმა პირისპირ შეხვედრაზე უმასპინძლა. მხარეებმა ყურადღება ორმხრივ კეთილმეზობლურ ურთიერთობასა და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებაზე გაამახვილეს.

„ჩვენ დიდი პასუხისმგებლობა გვაქვს — ეს არის ჩვენი ისტორია და ჩვენი წინაპრები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ჩვენს ორ ხალხს შორის მეგობრობას, დარწმუნებული ვარ, ღირსეულად გავართმევთ თავს ჩვენზე დაკისრებულ ვალდებულებას. მინდა, დაგიდასტუროთ, რომ საქართველოს მთავრობა მზად არის, მეტი იმუშაოს იმისათვის, რომ ქართულ-სომხური ურთიერთობები გახდეს კიდევ უფრო ეფექტური, ჩვენი თითოეული მოქალაქის საკეთილდღეოდ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობები გვაქვს, ვთანხმდებით, რომ შეგვიძლია, ის კიდევ უფრო განვავითაროთ, რათა მეტი სარგებელი მოვუტანოთ ჩვენს ხალხს, მათ შორის ეკონომიკაში, მშენებლობაში, ინფრასტრუქტურაში, კულტურაში, სპორტში და ყველა მიმართულებით“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. ქართველ კოლეგას ოფიციალური ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა. მან საკუთარი პრემიერ-მინისტრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობების კიდევ უფრო მაღალ დონეზე აყვანა დაასახელა.

„მოხარული ვარ, აღვნიშნო, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა კიდევ უფრო უმჯობესდება ყველა სფეროში. პრემიერ-მინისტრად ჩემი წელიწადნახევრიანი მუშაობის პერიოდში ყველაზე კარგ მიღწევად აღვნიშნავდი სომხურ-ქართული ურთიერთობების მაღალ დონეზე აყვანას, რაც, ვფიქრობ, ჩვენი ერთობლივი მუშაობის შედეგად კიდევ უფრო გაუმჯობესდება“, — აღნიშნა ნიკოლ ფაშინიანმა.

გიორგი გახარია სომხეთის პრეზიდენტსა და კათალიკოს გარეგინ მეორეს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია სომხეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში პრეზიდენტ არმენ სარქისიანს შეხვდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ცნობით, მოლაპარაკებები პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში გაიმართა. მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორმხრივ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარების მიმართულებით არსებულ პოზიტიურ დინამიკას. სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გიორგი გახარიას საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავება მიულოცა და წარმატებული საქმიანობა უსურვა.

ერევანში ოფიციალური ვიზიტით მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, სამთავრობო დელეგაციასთან ერთად უმასპინძლა სრულიად სომეხთა კათალიკოსმა გარეგინ მეორემ.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა ვიზიტის ფარგლებში ასევე გვირგვინით შეამკო 1915 წელს დაღუპულ სომეხთა მემორიალი. საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია სომხეთს სამთავრობო დელეგაციასთან ერთად სტუმრობდა, რომლის შემადგენლობაში საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა და პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ირაკლი ჩიქოვანი იმყოფებოდნენ.

როლანდ ახალაია:

ბოკერიასა და ბაქრაძეს ლომის წვლილი მიუძღვით ჩვენი ოჯახის განადგურებაში

ყოფილი დეპუტატი როლანდ ახალაია სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს, რომელშიც გიგა ბოკერიასა და დავით ბაქრაძეს მისი ოჯახის საწინააღმდეგო ქმედებებში ადანაშაულებს.

— რამდენიმე დღეა, ვწერ და ისევ ვშლი პოსტებს, გამოუქვეყნებლად. მაინც გადავწყვიტე ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ ბოკერიაბაქრაძის ინიციატივაზე. არც ერთი არ მყავს მეგობრებში, მაგრამ ვიცი, „ჩიტები“ მიუტანენ ამბავს. ნაძირალობა ცუდია, მაგრამ ის უფრო უარესია, როცა ფსკერს ქვემოთაა. წლებია, ხმა არ ამოგიღიათ თქვენ თანამებრძოლ პოლიტიკურ ტუსაღებზე და ვის ჰპირდებით პოლიტიკურ ამნისტიას, ალბათ, თქვენ თავსაც გულისხმობთ, რადგან არანაკლები წვლილი მიგიძღვით მათ პოლიტიკურ დევნაში. თქვენი წინასწარი განზრახულობაც ხომ ეგ იყო, რამდენიმე პირისთვის შეგეხოცათ ხელი და გათეთრებულები დარჩენილიყავით. მიუხედავად იმისა, ივანიშვილთან გარიგებულები ხართ, მაინც წარმოუდგენლად მიმაჩნია, თქვენ ხელისუფლებაში მოხვიდეთ და თქვენი გადასაწყვეტი იყოს, ვინ იქნება უფრო მაღლა, თქვენ თუ კანონი.

ნუ გვაღიზიანებთ გამწარებულ ოჯახებს, თორემ ეს უსამართლობით გამოწვეული ისედაც პიკზე მყოფი „აგრესია“ თქვენკენ მობრუნდება და მაინც არ გისურვებთ მის განცდას, მიუხედავად იმისა, ლომის წვლილი მიგიძღვით ჩვენი ოჯახის განადგურებაში. ეს არაა ლიტონი სიტყვები და ის აღსრულებადია. ამაში დარწმუნდებით, როცა შესაფერისი დრო დადგება. საჯაროდ არაფერი გვითქვამს. ეს არ ნიშნავს იმას, არ ვიცოდეთ, რა ხდებოდა ჩვენს თავს და ვის რა წვლილი მიუძღვის. არაფერი არ იმალება ჩვენნაირ ერში.

დღემდის არაფერი მითქვამს და აზრიც არა აქვს, მაგრამ მაინც ვიტყვი. გუნავა, შე არარაობავ, რა გადაგიხადეს ამდენი, რომ ყველაფერი გაყიდე, რისი გაყიდვაცაა შესაძლებელი. რას ეტყვი შენს შვილებს, როცა წამოიზრდებიან. არ მგონია, ყველა ბუნებით შენ დაგემსგავსოს და ნამუს-უნამუსობა არ გაარჩიონ. როგორ, როგორ, თანაცხოვრობ შენი სიყრმის მეგობრების მტრებთან და რა ნამუსით შეგაქვს მათგან ნაბოძები და ღალატის სუნით გაჟღენთილი „სიკეთე“ ოჯახში, — წერს როლანდ ახალაია „ფეისბუქში“.

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲝᲡᲣᲠ, ᲘᲡᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲖᲔᲐ ᲒᲐᲜᲠᲘᲡᲮᲔᲑᲣᲚᲘ...

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ გავრცელებული ინფორმაციისა, რომ „რაზდახანის“ (ოსური სახელწოდება) გამშვები პუნქტი რამდენიმე დღით (10-დან 15 ოქტომბრამდე) გაიხსნებოდა, რათა მსურველებს ახალგორის ოკუპირებული რაიონიდან გასვლის შესაძლებლობა მისცემოდათ, ეს არ მოხდა. ე.წ. გამშვები პუნქტი 4 სექტემბერს დაიხურა და უკვე თვეზე მეტია, ადამიანებს გადაადგილების თავისუფლება აქვთ შეზღუდული. როგორც ცხინვალში აცხადებენ, ეს რეჟიმი მანამ გაგრძელდება, სანამ ქართული მხარე სოფელ წნელისთან გახსნილ ახალ საგუშაგოს არ გააუქმებს.

„რაიონის ხელმძღვანელი ვიტალი მამიტოვი, რომელმაც იმ მომენტში ქვეშევრდომებს გამშვები პუნქტის გახსნა დაუანონსა, ახლა თითს პრეზიდენტ ბიბილოვისკენ იშვერს — ამბობს, რომ ამ უკანასკნელის პირადი განკარგულების გარეშე საზღვარი არ გაიხსნება, პრეზიდენტს კი მსგავსი განკარგულება ჯერ არ გაუცია. ხალხი სამკურნალოდ ვერ გადის, ონკოავადმყოფები ქიმიოთერაპიაზე ვერ ხვდებიან; ზოგიერთები ვერ გადიან გეგმიური ოპერაციის ჩასატარებლად, რისთვისაც რიგი ჯერ კიდევ ზაფხულში დაიკავეს. სასწავლებლად ვერ გადიან სტუდენტები, რომელთა გაცდენაც უკვე თითქმის ერთ თვეს შეადგენს. მათ შორისაა ერთი პირველკურსელი, რომელსაც ზაფხულში თბილისის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება სურდა, თუმცა „რაზდახანის“ გადასაკვეთად საშვი არ მისცეს და ამის გამო მისაღებ გამოცდებზე ვერ მოხვდა. როცა თბილისში ამის შესახებ შეიტყვეს, ამ გოგონას და კიდევ რამდენიმე აბიტურიენტს აფხაზეთიდან, რომლებიც საზღვარზე ასევე არ გადმოუშვებს, ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ნებისმიერ ფაკულტეტზე გამოცდების გარეშე მიღება შესთავაზეს. ახლა ეს გოგონა ლექციებზე ვეღარ ხვდება“, — ყვება ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი.

ამასთანავე, მისივე თქმით, სამსახურიდან დაითხოვეს ჯანდაცვის სფეროს ყველა მუშაკი, რომლებიც დე ფაქტო საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ წეროვანში ჩარჩნენ:

„მათ განუცხადეს, რომ საზღვარს მხოლოდ ერთი დღით კეტავდნენ, ისინიც დასვენების დღეებზე მშვიდად გაემგზავრნენ წეროვანში, მაგრამ საზღვრის ჩაკეტვის გამო უკან ვეღარ დაბრუნდნენ. ახლა მათ სამსახურის გაცდენის გამო ათავისუფლებენ, რეალურად კი ეს ხალხი უბრალოდ მოატყუეს. შედეგად რაიონი ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის საუკეთესო სპეციალისტის გარეშე დარჩა, რომლის დიაგნოზები თბილისის საუკეთესო კლინიკებში მუდმივად დასტურდებოდა. ჩვენს რაიონში ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სამედიცინო მომსახურება იყო, რომელიც ახლა აღარ არსებობს. გარდა ამისა, ჯერ კიდევ საზღვრის დაკეტვამდე მილიციელებმა რაიონიდან გააძევეს ერთადერთი გინეკოლოგი. სადღეისოდ რაიონში რამდენიმე კარგი ექიმი კიდევ რჩება, თუმცა უახლოეს ხანებში, როგორც ჩანს, მათი რაოდენობა შემცირდება: საზღვრის კვეთის წესის შეცვლის შემდეგ უკვე ერთი წელია, ამ სპეციალისტებს საშვის მისაღებად დოკუმენტები აქვთ წარდგენილი, თუმცა საშვს ამ დრომდე არ აძლევენ. ახლა ისინი ელიან, გზა ერთი მიმართულებით მაინც გაიხსნას, რათა გავიდნენ და აღარ დაბრუნდნენ. ამბობენ, ამ წლების განმავლობაში პირველად გადაწყვიტეს წასვლა, რადგან ხელისუფლების მხრიდან მსგავს მოპყრობას ვეღარ აიტანენ“.

როგორც **მეარაყიშვილი** აღნიშნავს, ეს ყველაფერი ერთიან სურათს ქმნის, რომელიც ახალგორელებს ხვალინდელი დღის იმედს უკარგავს და მათ უმრავლესობას აფიქრებინებს, რომ ცხინვალის ხელისუფლება ამ ყველაფრით რაიონიდან მათ განდევნას ცდილობს:

„ადგილობრივები თვალს ადევნებენ ტელევიზიას, ინტერნეტს, სურთ, რაიმე ნიშანი მაინც დაინახონ იმისა, რომ მათი ბედი ვინმეს აღელვებს, თუმცა ვერ პოულობენ. ხალხი როგორც ოსურ, ისე ქართულ ხელისუფლებაზეა განრისხებული. ადგილობრივებს აინტერესებთ, რატომ არაფერს ამბობს ტელევიზია იმაზე, რაც აქ ხდება, რატომ დუმს ხელისუფლება მათ შესახებ? ჩვენ ყველამ მიგვატოვა, არავის ვჭირდებით არც ცხინვალში, არც თბილისში... ამასთან, ადგილობრივებს სწამთ, რომ ცხინვალი მათზე იმის გამო არ რეაგირებს, რომ თბილისი დუმს“.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ: ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲣᲠᲘᲡ ᲫᲘᲠᲨᲘ?

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ (პირდაპირი გზით) 700 კილომეტრით არის დაშორებული სირიის ის ტერიტორია, სადაც თურქეთმა პოზიციები დაიკავა. ქურთების წინააღმდეგ წამოწყებული სამხედრო ოპერაციის დროს — ერთმანეთის პირისპირ ახლა რუსეთი და თურქეთი აღმოჩნდნენ. ყველაფერი სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ამერიკელი სამხედროების გაყვანის გადაწყვეტილებას მოჰყვა.

რაც უფრო იზრდება დაძაბულობა სამეზობლოში, ასევე იზრდება შიში საქართველოშიც. რა ხდება სირიაში? რამდენად დიდია რუსეთისა და თურქეთის დაპირისპირების გამწვავების შანსი და არსებობს თუ არა საფრთხე საქართველოსთვის?

ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲡ ᲡᲘᲠᲘᲔᲚᲛᲐ ᲥᲣᲠᲗᲔᲑᲛᲐ?

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲗᲐ **სირიაში სამხედრო ოპერაცია 9 ოქტომბერს წამოიწყო. საჰაერო თავდასხმებს მალევე მოჰყვა სახმელეთო შეტევაც. თურქეთის არმიამ დაიკავა არაერთი ქალაქი თუ სოფელი.**

სხვადასხვა წყაროს ცნობით, დაღუპულთა რიცხვი რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულამდე მერყეობს. მათ შორის არის მშვიდობიანი მოსახლეობაც. გაეროს შეფასებით, დევნილად იქცა 130.000-მდე ადამიანი.

თურქეთის გაცხადებული მიზანია:

- უკან დაახევინოს ქურთთა შეიარაღებულ დანაყოფებს („სირიის დემოკრატიული ძალები“), რომლებსაც ის ერთ-ერთ უმთავრეს მტრად გამოცხადებული ორგანიზაციის — „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ მოკავშირეებად თვლის;
- შექმნას ე.წ. „უსაფრთხოების სარტყელი“ 480 კილომეტრზე სირიის საზღვრის გასწვრივ და 32 კილომეტრზე სირიის ტერიტორიის სიღრმეში.

ეთნიკური ქურთები (დაახლოებით 30 მილიონი) კომპაქტურად ოთხ ქვეყანაში ცხოვრობენ — ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ, ᲘᲠᲐᲜᲨᲘ, ᲔᲠᲐᲧᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ. ისინი ათეულობით წელია, განიცდიან დევნასა და შევიწროვებას მათ შორის — თურქეთის ხელისუფლების მხრიდან. ქურთთა ამბოხებები თურქეთში ათწლეულებს ითვლის. ანკარა ყოველთვის მტკივნეულად რეაგირებდა ქურთების სეპარატისტულ მიზნებზე და წლების განმავლობაში არაერთხელ დაუპირისპირდა მათ სამხედრო ძალითაც ერაყსა თუ სირიის ტერიტორიაზე.

ქურთებს წლების განმავლობაში დევნიდა სირიის ხელისუფლება და ასე იყო ამჟამინდელი პრეზიდენტის ბაშარ ალ ასადის პირობებშიც. თუმცა მოკავშირე ამერიკელების უკან დახევით გაწბილებულმა ქურთმა მებრძოლებმა დახმარება ისევ ასადის რეჟიმსა და მის მფარველს — რუსეთს სთხოვეს.

თურქეთის შეჭრის შემდეგ, სიტუაცია ისე დალაგდა, რომ ახლა ერთ სივრცეში, ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ რუსეთი (მის მიერ მხარდაჭერილი ასადის რეჟიმის სახით) და თურქეთი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ - ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲓᲐᲠᲩᲜᲔᲜ

14 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სირიის პრეზიდენტმა არმიის ქვეანაყოფები გაგზავნა ქვეყნის ჩრდილოეთში, თურქეთის აგრესიის შესაჩერებლად.

მსოფლიოსთვის ცხადია, რომ სწორედ რუსეთი დგას საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებაში დასავლეთის მიერ დადანაშაულებული ბაშარ ალ ასადის რეჟიმის გვერდით.

სირიაში თურქეთის შეჭრის შემდეგ, რუსეთის მედია აქტიურად ავრცელებდა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მოწოდებას, რომ სირია უნდა დატოვონ უცხო ქვეყნების სამხედროებმა.

ქურთების შეიარაღებულმა დანაყოფებმა („სირიის დემოკრატიული ძალები“) ბაშარ ალ ასადის რეჟიმს დახმარების თხოვნით მას შემდეგ მიმართეს, რაც ვაშინგტონმა ტერიტორიიდან გაიყვანა ამერიკელი სამხედროები და ბევრის აზრით, გაჭირვებაში მიატოვა ქურთები — ამერიკის ძლიერი მოკავშირეები „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში. შეერთებულმა შტატებმა 13 ოქტომბერს განაცხადა, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიიდან გაიყვანს 1000 სამხედროს, თურქეთის მხრიდან შეტევის ფონზე.

ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲜᲭᲣᲚᲘᲐ

ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ Twitter-ის საკუთარ გვერდზე ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომელიც სირიაში სამხედრო ოპერაციის გამო თურქეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას ეხება.როგორც დოკუმენტში წერია, დონალდ ტრამპი ანკარის წინააღმდეგ მასშტაბურ სანქციებს ხელს მალე მოაწერს. შეზღუდვები თურქ ჩინოსნებს შეეხებათ.

გუშინ ამერიკის ლიდერმა დანაპირები აღასრულა და ეკონომიკურ სანქციებს ხელი მოაწერა.

გარდა ამისა, ვაშინგტონი გეგმავს თურქეთიდან შემოსულ ფოლადზე ტარიფი 50%-მდე გაზარდოს. მისივე თქმით, თურქეთთან სავაჭრო მოლაპარაკებები დაუყოვნებლივ შეწყდება. მომავალში კი შეზღუდვები შესაძლოა ფინანსურ სექტორსა და ვიზის გაცემასაც შეეხოს. მანამდე საფრანგეთმა, გერმანიამ, შვედეთმა, ფინეთმა და ნიდერლანდებმა თურქეთში იარაღის ექსპორტი შეწყვიტეს. ამ ქვეყნების წარმომადგენლები შეხვედრამდე ანკარისთვის სანქციების დაწესების აუცილებლობაზე საუბრობდნენ, თუმცა როგორც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰეიკო მაასმა აღნიშნა, თურქეთთან დიალოგის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია. „თუ ეს მიდგომა წარუმატებელი იქნება, სხვა ზომებზე მაშინ ვიფიქრებთ“, - თქვა მან.

თურქეთმა სირიის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაცია „მშვიდობის წყარო“ 9 ოქტომბერს დაიწყო. ანკარის ინფორმაციით ჩრდილოეთ სირიაში ოპერაციის დაწყებიდან დღემდე სამხედროებმა 525 ქურთი ტერორისტი გაანეიტრალეს.

ბუმერანგად დაბრუნებული დემოკრატია!

ოცნების და იმედის 7 წელი

ხელისუფლებაში ყოფნის 7 წლისთავი „ქართულმა ოცნებამ“ საკმაოდ მოკრძალებულად აღნიშნა. ის შემოიფარგლა მხოლოდ განცხადებით, რომლის წაკითხვა, ვფიქრობ, მის ყველაზე აქტიურ მომხრეებსაც კი გააოცებდა. მთავარ მიღწევად სააკაშვილის რეჟიმზე გამარჯვება და მისი ხელისუფლებაში დაბრუნების შეუძლებლობა დასახელდა.

განცხადებაში ვკითხულობთ, „უკვე შვიდი წელია, ქართველი ხალხი „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ყოველ არჩევნებზე ადასტურებს 1 ოქტომბრის ღირებულებების ერთგულებას“. განცხადებაში, ბუნებრივია, არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ სოციოლოგიური გამოკითხვებით ამ ხალხის რაოდენობა წლითიწლობით კლებულობს.

გაუგებარია, რატომ აირჩია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობამ საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეს გვარიანად მოყირჭებული ენა – ილაპარაკო გამარჯვებებსა და წარმატებებზე, ისე რომ არ იფიქრო, როგორ აღიქვამს ამას შენი მოსახლეობა და ამომრჩეველი.

დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრ ჩვენს მოქალაქეს არ განელებია ის განცდა, რაც 2012 წლის 1 ოქტომბერს დაეუფლა. იმ დღეს ბევრი ჩვენგანი თავისუფლების მოედანზე ზეიმობდა არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას. ჩვენ ვზეიმობდით გათავისუფლებას შიშისგან, ძალადობისგან და დამცირებისგან, დამოკლეს მახვილივით რომ ეკიდა თითოეული მოქალაქის, სხვათა შორის მაშინდელი რეჟიმის მომხრეთა თავებზეც კი. მახსოვს, მეორე დღეს სამსახურში მოსული გულწრფელი ცრემლებით მოქვითინე თანამშრომელი, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება პირად ტრაგედიად აღიქვა. დიახ, ასეთებიც საკმაოდ იყვნენ და ისინი დღეს ჩვენს გვერდით ცხოვრობენ.

2012 წლის 1 ოქტომბერს, როდესაც ქართველმა საზოგადოებამ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობა უნდა დასრულებულიყო, ის მზად იყო საკუთარი გადაწყვეტილების დასაცავადაც. სხვათა შორის, ეს მზადყოფნა თვალნათლივ დაინახეს მათაც, ვისაც იმ არჩევნების სხვა შედეგზე ჰქონდა გათვლა. სწორედ საქართველოს მოსახლეობის მტკიცე ნება გახდა ის მთავარი მიზეზი, რის გამოც სააკაშვილს მოუწია ხელისუფლების „მშვიდობიანად“, უფრო სწორად კი იძულებით გადაბარება. ამ ე.წ. „გადაბარებას“ კი დღემდე გვაყვედრიან „ნაცმოძრაობა“ და მათი მხარდამჭერები შინ თუ გარეთ.

არ შევუდგები იმის დეტალურად აღწერას, თუ რაოდენ დიდი მოლოდინები ჰქონდა ხალხს იმ დღიდან მოყოლებული, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოაბიჯა, „ქართული ოცნება“ დააფუძნა და შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა. შესაძლოა, თავად ბიძინა ივანიშვილმაც ვერ შეაფასა ბოლომდე რამდენად ჭარბი და გულწრფელი იყო ის ნდობა, რაც 7 წლის წინ მას საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ გამოუცხადა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ის არაერთხელ იტყვის, რომ **მოსახლეობის ჭარბი ნდობა** მაქვსო. თუმცა, „ქართული ოცნებისა“ და მისი ლიდერის მიმართ ამ ნდობის თანდათანობითი დევალვაცია 2012 წლის შემდეგ ჩატარებულ ყოველ მომდევნო არჩევნებზე ჩნდებოდა და კულმინაციას 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მიაღწია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია საზოგადოების მოლოდინები და იმედები კონკრეტული ლიდერის ან პარტიის მიმართ, მით უფრო მძიმე გადასატანია ამ მოლოდინებისა და იმედების გაცრუების განცდა. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას ადასტურებენ როგორც სოციოლოგიური გამოკითხვები, ისე ჩვენი ყოველდღიური დაკვირვებები. ჩვენი სოციუმი ხომ ძალიან პატარაა და შეკრული. შესაბამისად მისი განწყობები, რომ იტყვიან, ხელისგულზე დევს.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების კონტაქტი ხალხთან შაგრენის ტყავივით იკუმშებოდა. დღეს ბევრი მათგანი სოციალური ქსელებით აქტიურად ცდილობს მოსახლეობასთან ურთიერთობას. არადა, 2013 და შემდგომ წლებში მათთან კონტაქტზე გასვლა რიგითი მოქალაქისათვის ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა. ხალხისგან დაშორებამ წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობის ფონზე, თავის გარდუვალი შედეგები გამოიღო. ხალხში „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული მოლოდინების და იმედების თანდათანობითი ეროზია დაიწყო. ოპოზიცია კი ოპოზიცია არ იქნებოდა, რომ ამით არ ესარგებლა და ისარგებლა კიდეც.

რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში ქვეყანაში დემოკრატიის კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესდა. სამოქალაქო სექტორმა და მედიამ, სააკაშვილის რეჟიმთან შედარებით, მიიღეს თავისუფლებების შეუდარებლად მაღალი ხარისხი. თუმცა, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ავტორიტარიზმის არტახებიდან ქვეყნის და საზოგადოების გათავისუფლება თავად „ქართულ ოცნებას“ დაუბრუნდა მოულოდნელად მძიმე ბუმერანგად. ის გახდა სამოქალაქო სექტორის და მედიის „გადამეტებული ყურადღების,“ ზოგჯერ კი ღია შეტევების ობიექტი, აქედან გამომდინარე შედეგებით. „ნაცმოძრაობასთან“ ე.წ. „კოჰაბიტაციის“ თავსმოხვეულმა პოლიტიკამ, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ შემდეგ თავადაც აიტაცა, რადგანაც მიხვდა, რომ ამ ლიმონისგან ლიმონათის გაკეთება შეეძლო, ამომრჩევლის განაწყენება და გაუცხოება გამოიწვია. სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე უამრავი მოქალაქე ღრმად იმედგაცრუებული და გაბრაზებული დარჩა, როდესაც მათი მწვალებლები სისტემის უმანკო მსხვერპლებად წარმოუდგინეს. „ქართული ოცნების“ ძალიან ბევრი აქტიური მხარდამჭერი, რომელთა გარეშეც ვერ შედგებოდა 2012 წლის 1 ოქტომბრის გამარჯვება, რომ იტყვიან ბორტს მიღმა დარჩა – ისინი უბრალოდ მიივიწყეს. სამაგიეროდ, ამ ხალხმა იხილა წინა ხელისუფლების სისტემის არაერთი წარმომადგენლის აღზევება.

რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“ ვერსად გაექცევა იმ უხვ დაპირებებს ეკონომიკის წლითიწლობით გაუმჯობესებაზე, რაც უზენაეს დონეზე გაიცა 2012 წელს.

გასული 7 წლის განმავლობაში ქვეყანაში ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები ნამდვილად გადაიდგა. წნეხისგან გათავისუფლებული ბიზნეს გარემო გაუმჯობესდა, გაიზარდა ექსპორტი, მოიმატა ხელფასებმა და პენსიებმა, გაჩნდა სოციალური დაცვის მეტი გარანტიები და ა.შ. თუმცა ეს დადებითი ტენდენციები ერთბაშად შთანთქა ლარის ეტაპობრივმა გაუფასურებამ, რომელიც აგერ უკვე მესამე წელია, გრძელდება და რიგითი მოქალაქეებისთვის, რომელთა საფულესაც ეს დევალვაცია მტკივნეულად ურტყამს, დღემდე უცნობია გაუფასურების გამომწვევი მიზეზები. საერთაშორისო რეიტინგებში დაწინაურება, რა თქმა უნდა, კარგია და სასიამოვნო მოსასმენი, თუმცა, რიგითი მოქალაქისთვის ეს დიდი ვერაფერი შვებაა, რადგანაც მისი მდგომარეობა ამით არ უმჯობესდება და რჩება მხოლოდ იმედი, რომ გვირაბის ბოლოს ოდესღაც გამოკრთება შუქი.

გოეთე ამბობდა, „იმედი საუფლოს გვერდითაც ცხოვრობს,“ ხოლო ლეონარდო და ვინჩის უთქვამს „იქ სადაც იმედი კვდება, იქ სიცარიელე წარმოიქმნება.“ ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვები, რამდენად ტენდენციურადაც არ უნდა მივიჩნევდეთ მათ, აჩვენებს, რომ მოსახლეობის ნაწილს ჯერ კიდევ არ დაკარგვია „ქართული ოცნების“ იმედი. ამავე დროს, იმედების გაცრუების გამო წარმოქმნილი სიცარიელე მისი ახალი ალტერნატივით შევსების სურვილს გადებს და ეს სურვილი ციფრებში უკვე თითქმის 50% უდრის.

ამბობენ, რომ იმედი საუკეთესო მკურნალია. თუკი იმედი არ დაგიკარგავს, ეს ნიშნავს, რომ ლოდინიც შეგიძლია და თმენის და რწმენის რესურსიც გაქვს. „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, თმენის და რწმენის ამ რესურსმა შვიდი წელი გასტანა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე „ქართულ ოცნებას“ უბრალოდ სხვა გზა არ დარჩენია, რომ მოქალაქეების ჯერ კიდევ შემორჩენილ თმენას და რწმენას ხორცი შეასხას.

ზაალ ანჯაფარიძე

ემზარ კვიციანი: სტრასბურგის სასამართლომ ბათიაშვილთან ერთად მეც გამამართლა!

სტრასბურგის სასამართლომ ირაკლი ბათიაშვილის საქმეზე გადაწყვეტილებით ხაზი გაუსვა, რომ 2006-2008 წლებში ხელისუფლებამ კოლექტიურად უღალატა სამშობლოს, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა ემზარ კვიციანმა განაცხადა.

„სტრასბურგმა გაამართლა ირაკლი ბათიაშვილი, ე.ი. პარალელურად, მეც გამამართლა, რადგან ბათიაშვილმა სწორედ ჩემთან საუბრის გამო მოიხადა ციხეში ორი წელიწადი. მისჯილი ჰქონდა შვიდი წელი. სტრასბურგმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ 2006-2008 წლებში იყო კოლექტიური ღალატი ჩვენი სამშობლოსი ხელისუფლების, მასმედიის მხრიდან და საერთოდ არავის უნდა გამოძიება. რამდენი ხანია, ვითხოვ, შეიქმნას პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია და ბოლოს და ბოლოს გამოვიძიოთ, ვინ არის დამნაშავე და ვინ მართალი. არ გინდათ ამის გაკეთება და ამიტომაც არის ეს აღვირახსნილობა, რასაც ჩვენ აქ ვუყურებთ ბოკერიას მხრიდან. ბოკერიამ აქეთ დაგვადანაშაულა მე და ბათიაშვილი, რომ ჩვენ დამნაშავეები ვყოფილვართ და მე რუსეთში გავქცეულვარ.

ერთი რამ მაინტერესებს, თუ დაკვირვებიხართ იმას, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის მიმართულებით ორი რუსული საგუშაგო იდგა და შექმნილი იყო ბუფერული ზონა. რატომ იდგნენ ისინი იქ, რადგან შეიარაღებული ხალხი არ უნდა გაეტარებინათ, არც კოდორის მიმართულებით და საერთოდ, რატომ გამოატარეს ბოკერია და სააკაშვილი, მაგათი ბანდა რუსებმა, თუ რუსები ჩემს მხარეზე იყვნენ. რატომ ცდილობენ ესენი ყოველთვის, რომ კარგი, მე ცუდი კაცი, დამნაშავე ადამიანი ვარ, გავწიოთ განზე ემზარ კვიციანი, 2008-ში რატომ ჩააბარეთ უბრძოლველად ტერიტორიები“, – განაცხადა ემზარ კვიციანმა. ამასთან, ემზარ კვიციანმა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილს მიმართა კითხვით, რატომ არ უნდა ხელისუფლებას, დაუსვას იმ უმსგავსობას წერტილი, რაც პარლამენტში ხდება.

„მინდა, ოხანაშვილს ვკითხო, რამდენიმე დღის წინ გააკეთა კომენტარი, რომ სტრასბურგმა კიდევ ერთხელ წერტილი დაუსვა „ნაციონალური მოძრაობის“ ქმედებასო, თქვენ რატომ არ გინდათ წერტილი დაუსვათ ამ უმსგავსობას, რაც ამ პარლამენტში ხდება. დამნაშავეები წამოგვაჯინეთ თავზე, არ გინდათ, გამოიძიოთ, რატომ? რამხელა ზარალი მიიღო ჩვენმა ქვეყანამ გავრილოვის ჩამოსვლით, რატომ არ გინდათ, გამოიძიოთ, ვინ შეუთანხმდა გავრილოვს, ვინ იყო გარიგებული მასთან, რომ მერე ასეთი ზარალი მიდგომოდა ჩვენს ქვეყანას“, – განაცხადა ემზარ კვიციანმა. დეპუტატის თქმით, დემოგრაფიასთან დაკავშირებით ქვეყანაში კატასტროფული ვითარებაა.

„ნარკომანია, პროსტიტუცია, აბორტი ამ ქვეყანაში წახალისებულია. არასრულწლოვან გოგონას არა აქვს უფლება, გათხოვდეს. რისკენ მივექანებით, ვერ ხედავთ, რომ ვიღუპებით? შობადობა არ არის, სიკვდილიანობა გაზრდილია და ჩვენ მშვიდად ვუყურებთ ყველაფერს. გენოფონდის გასაძლიერებლად არაფერი კეთდება. გამოვიდა გიორგი გახარია დიდი პროგრამით, ინფრასტრუქტურაზე, გზებზე, ყველაფერზე იხარჯება ფული და დემოგრაფიის გასაძლიერებლად კაპიკი არ იხარჯება, რატომ ვწყვეტთ ჩვენივე თავს“, – განაცხადა ემზარ კვიციანმა.

სჭირდება ასე პატარა ქვეყანას 50 „მხუთავი“ მიკრო ბანკი?!

რისი უფლება აღარ ექნება სულ მალე მიკროსაფინანსოებს სესხის აღებისას?

საფინანსო ორგანიზაციებს მომხმარებლის შევიწროება, ზეწოლა, შეურაცხყოფა აეკრძალებათ. ეროვნულმა ბანკმა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ სესხის (კრედიტის) ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი“ შეიმუშავა, რომელმაც, წესით, ბაზარზე არსებულ განუკითხაობას უნდა დაუსვას წერტილი.

სებ-ის ცნობით, კოდექსის მიზანია ფინანსური ორგანიზაციების მიერ სესხის/კრედიტის ამოღებისას მომხმარებლებთან ურთიერთობის საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებული წესებისა და ჩვევების დამკვიდრების ხელშეწყობა.

დოკუმენტი ითვალისწინებს ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულებას, სესხის ამოღების პროცესში დაიცვას ზნეობისა და საქმიანი ურთიერთობების საუკეთესო პრაქტიკით მიღებული ნორმები და იმოქმედოს კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე.

„იყო შემთხვევები, როდესაც მომხმარებელს ან არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ, ან მასზე არაეთიკური ქცევით ან სიტყვიერად ახდენდნენ ზეწოლას და გვინდა, რომ ეს პროცესი მოვაწესრიგოთ და უფრო საქმიანი გავხადოთ“, — განაცხადა ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების დეპარტამენტის უფროსმა ლაშა გზირიშვილმა.

შესაბამისად, დოკუმენტში გაწერილია, თუ რისი უფლება აღარ ექნება ფინანსურ ინსტიტუტს მომხმარებელთან ურთიერთობისას. კერძოდ, როგორც სებ-ის მიერ შემუშავებულ პროექტშია აღნიშნული, ფინანსურ ორგანიზაციას ეკრძალება:

მომხმარებლის და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის შევიწროება, ზეწოლა და მათ მიმართ სხვაგვარი რეპუტაციის შემლახავი და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება;

მომხმარებლის და უფლებამოსილი წარმომადგენლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა;

მომხმარებლების ვადაგადაცილებული სესხის (კრედიტის) შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება. აღნიშნული ინფორმაციის, მათ შორის, სიის სახით, მიწოდება შესაძლებელია მხოლოდ საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთვის, ეროვნული ბანკისთვის და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

„ფინანსურ ორგანიზაციას ეკრძალება მომხმარებლების მიმართ გამოიყენოს მუქარა და მიაწოდოს ინფორმაცია ისეთ შესაძლო ქმედებებზე, რომელიც ხელშეკრულებით და/ან კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. მათ შორის, ფინანსურ ორგანიზაციას ეკრძალება:

მომხმარებელს და/ან საკონტაქტო პირს/უფლებამოსილ წარმომადგენელს მიაწოდოს არასწორი ინფორმაცია ვალდებულების მოცულობაზე, ვადასა და სამართლებრივ სტატუსზე;

არასწორად წარუდგინოს თავი, მათ შორის, მოჩვენებითად წარუდგინოს თავი აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლად და/ან სხვა ინსტიტუტთან დაკავშირებულ პირად;

მიაწოდოს ინფორმაცია, რომ ვალდებულების გადაუხდელობა გამოიწვევს მომხმარებლის თავისუფლების აღკვეთას;

ნებისმიერი ისეთი სახის წერილობითი კომუნიკაციის გამოყენება, რომელიც მოტყუებით ქმნის შთაბეჭდილებას, რომ წერილი გამოგზავნილია სხვა უწყებიდან (მაგალითად, სასამართლო და მსგავსი), გარდა თვით ფინანსური ორგანიზაციისა და მესამე პირისა, რომელზეც გასხვისდა ან რაიმე სხვა ფორმით სამართავად გადაეცა ფინანსური ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხი.

მომხმარებელს და საკონტაქტო პირს მიაწოდოს ინფორმაცია ისეთი ქმედების გამოყენების შესახებ, რომლის შედეგადაც ფინანსური ორგანიზაცია გახდება მომხმარებლის ქონების მფლობელი და შეძლებს მის განკარგვას, იმ შემთხვევებში, თუ: კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ან ფინანსურ ორგანიზაციასა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, რომ ფინანსურ ორგანიზაციას უფლება აქვს დაისაკუთროს და განკარგოს ქონება; ფინანსური ორგანიზაცია რეალურად არ აპირებს ქონების დასაკუთრებას და განკარგვას, არამედ მხოლოდ მომხმარებლის დაშინების ან შეცდომაში შეყვანის მიზნით აწვდის მას ამ ინფორმაციას; კანონმდებლობით იზღუდება აღნიშნულ ქონებაზე შესაბამისი ქმედებების განხორციელება.“

აღსანიშნავია ისიც, რომ სებ-ის მიერ შემუშავებული დოკუმენტის თანახმად, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებული იქნება მომხმარებელს მხოლოდ მის მიერ მიწოდებულ რეკვიზიტებზე დაუკავშირდეს. აღსანიშნავია, ისიც, რომ პირთან დაკავშირება დღის 10:00 საათიდან 20:00 საათამდე პერიოდში უნდა მოხდეს.

ამასობაში მიკროსაფინანსოებს ისედაც დიდი პრობლემები აქვთ. მათი დიდი ნაწილი ეროვნული ბანკის რეგულაციებს ვერ უძლებს და იხურება. საქართველოში კიდევ ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უქმდება. წლიურად მათი რაოდენობა უკვე 17-ით არის შემცირებული. გასული წლის ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოში 67 მიკრო საფინანსო იყო რეგისტრირებული, ახლა კი 50-ია.

სულ ბოლოს შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბიზნეს სტარტაპ კრედიტი“ გაუქმდა და დაიწყო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესი.

2019 წლის იანვრის მდგომარეობით, ქვეყანაში 65 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იყო რეგისტრირებული, თებერვლის მონაცემებით — 63; მარტ-აპრილში — 61; მაისში კი 58 მისო ფუნქციონირებდა; ივნისში ქვეყანაში უკვე 56 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იყო, ივლისში — 55; აგვისტოში —53, ხოლო 9 ოქტომბრის მდგომარეობით მათი რიცხვი 50-ს შეადგენს.

გეძა დანელია

თბილისის მერია მეტროს 40 ახალ ვაგონს შეისყიდის

დედაქალაქის მერი კახა კალაძე აცხადებს, რომ სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი თბილისის მეტროსთვის 40 ახალ ვაგონს შეისყიდის, რაც 10 ახალი მატარებელია მეტროს სისტემაში.

„დაფინანსებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი უზრუნველყოფს და ეს ვაგონები მომდევნო სამი ან ოთხი წლის განმავლობაში ეტაპობრივად მიეწოდება მუნიციპალიტეტს“, — განაცხადა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე.

პროექტის ჯამური ღირებულება 60 მილიონი დოლარია.

სამი ადაპტირებული მიკროავტობუსი პარასპორტსმენებს

თბილისის მერიამ პარასპორტის განვითარების ცენტრისთვის სამი ადაპტირებული მიკროავტობუსი შეიძინა. თბილისის მერმა დედაქალაქში პარასპორტის განვითარების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამი ადაპტირებული მიკროავტობუსის შესაძენად მერიამ დაახლოებით, 410 ათასი ლარი გამოყო.

„პარასპორტის განვითარების ცენტრის საქმიანობა მისი დაარსებიდან დღემდე წარმატებით მიმდინარეობს. ამ ცენტრის გახსნამ ხელი შეუწყო პარასპორტსმენთა წარმატებებს როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიო ასპარეზზე და ჩვენ ასეთი არაერთი მაგალითი გვაქვს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან სასიხარულოა. გამოვყავით დაახლოებით 410 ათასი ლარი, რათა პარასპორტსმენებს ჩვენგან ხელშეწყობა ჰქონოდათ და შევისყიდეთ სამი ადაპტირებული მიკროავტობუსი, რითაც ისინი ყოველდღიურ რეჟიმში გადაადგილებას შეძლებენ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ქიმიური წმენდის ვაუჩერები - ტაქსის მფლობელებს

A კატეგორიის ტაქსის მფლობელებს პირველი ნოემბრიდან ინტერიერის ქიმიური წმენდის ვაუჩერის მიღება შეეძლებათ, მძღოლები მერიისგან მიიღებენ შეტყობინებას, თუ რომელ სერვისცენტრს მიმართონ მომსახურებისთვის.

„მინდა, ერთი სიახლე შევატყობინო ტაქსის მფლობელებს, პირველი ნოემბრიდან მათ შეეძლებათ, მიიღონ ინტერიერის ქიმიური წმენდის ვაუჩერი, რომელსაც მერია კონკურსში გამარჯვებულ კერძო კომპანიასთან ერთად სთავაზობს A კატეგორიის ტაქსებს. ვაუჩერების დარიგების პირველი ეტაპისგან განსხვავებით, მძღოლებს არ დასჭირდებათ ვაუჩერის მიღება რაიმე მისამართზე. ჩვენ მათ შევატყობინებთ, რომელ სერვისცენტრებში იქნება ეს მომსახურება და პირდაპირ შეძლებენ მისვლას“, — განაცხადა კალაძემ.

თბილისის მერის განმარტებით, ავტომფლობელს, რომელიც ამ ვაუჩერით ისარგებლებს, გადაეცემა 20%-იანი ფასდაკლების ბარათი სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურების ერთ-ერთ ქსელში.

„ეს შეთავაზება და ფასდაკლების ბარათი უშუალოდ ჩვენს კონკურსში გამარჯვებული კომპანიისაა. აღნიშნულზე მერია არ გასწევს ხარჯს ბიუჯეტიდან. პირველ ეტაპზე, როდესაც ჩვენ ინტერიერის ქიმიური წმენდის ვაუჩერები დავაანონსეთ, ძალიან დაბალი იყო აქტივობა და, პრაქტიკულად, არც მომხდარა მათი გამოყენება, ამიტომ გადავწყვიტეთ, მეორე ეტაპი შეგვეთავაზებინა მძღოლებისთვის. ჩვენი გუნდი ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ტაქსის მომსახურება იყოს სარგებლიანი და კომფორტული როგორც ტაქსის მძღოლებისთვის, ასევე მათი მომხმარებლებისთვის“, — განაცხადა კალაძემ.

ეროვნული პარკი გურიაში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინიციატივით, გურიაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ეროვნული პარკის შექმნა იგეგმება.

სამუშაო შეხვედრა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან და მხარის გუბერნატორთან ჩოხატაურის მერიაში გაიმართა და მას დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ვალერიან მჭედლიძე, მოადგილე თომა დეკანოიძესთან ერთად დაესწრო.

შეხვედრაზე ეროვნული პარკის შექმნის მიზნებზე ისაუბრეს. უახლოეს მომავალში დაიწყება წინა საპროექტო კვლევები და მოხდება იმ ტერიტორიების იდენტიფიცირება, სადაც შემდგომ ეროვნული პარკი შეიქმნება. წინასწარი ინფორმაციით, შესწავლის პროცესი 2021 წლამდე დამთავრდება.

გურიის ეროვნული პარკის შექმნის პროცესი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მხარდაჭერით მიმდინარეობს.

„ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲐᲮᲘᲚᲔᲑᲐ“ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

ᲠᲝᲑᲝᲠᲪ **დიდი ილია ჭავჭავაძე იტყოდა, „სულიერი თვალის ახილება“, ანუ მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, სულიერი აღზრდა, სულიერების ამაღლება ჩვენს ერთობამორღვეულ ქვეყანაში კვლავ მიტოვებულია! პედაგოგის მიერ მოსწავლეში სწავლა-ცოდნის მიღებასთან შედარებით იგი ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲡ ანიჭებდა უპირატესობას. „სულით ღონიერნი“ ააშენებენ ქვეყანას და არა „ხორცით ღონიერნიო“! ჩვენთან კი „ხორცით ღონიერნი“, ანუ ფულით ჯიბე-უბე სავსენი, მოგვიმრავლდნენ (მარტო პარლამენტში 40-ზე მეტი მილიონერია) და „სულით ღონიერნი“, ანუ მეცნიერები, ხელოვანები, დამსახურებული პენსიონერები, თვით მშობლების და პედაგოგების დიდი ნაწილი დაჩაჩანაკებულია, ღირსებადამცირებულია! „ადამიანობის სწავლებაში“ რა იგულისხმება? — ენის, მამულის და სარწმუნოების სიყვარულის გაღვივება თითოეულ ჩვენგანში!**

20 წელზე მეტია, ევრო-ატლანტიკური სივრციდან მოგვევლინნენ „სტრატეგიული პარტნიორებისგან“ მოგზავნილი გლობალისტები და სწორედ ილიასგან დატოვებულ-ნაანდერძებ სამ საფიცარ ხატს — მამულს, ენას და სარწმუნოებას — შეურაცხყოფენ, თავს ესხმიან და მის გაქრობას ლამობენ. 1992 წლის შემდეგ, როცა იოსელიან-კიტოვანის ბანდიტებმა შეიარაღებული გადატრიალების გზით ეროვნული ხელისუფლება დაამხეს, ერის ერთიანობა შუაზე გახლიჩეს, მთელი 20 წლის განმავლობაში ქვეყანას კრიმინალები მართავდნენ. ჩვენს სახელმწიფო ღერბს „ძალა ერთობაშია“ აწერია, მაგრამ მას შემდეგ ვერა და ვერ მოხერხდა ერის გამთლიანება, რადგან დამნაშავენი არ ინანიებენ, არ ისჯებიან, გარედან შემოგდებული კოჰაბიტაციით სარგებლობენ და აქეთ ესხმიან თავს სამართლიანობის სუსტად დამცველ ხელისუფლებას. მათმა კინკლაობა-ძიძგილაობამ დაგვღალა, აქცენტი გადატანილია არჩევნების მოგებაზე და თანამდებობის ხელში ჩაგდებაზე, მათ შენარჩუნებაზე. სულიერების ამაღლების ფრონტის ხაზი ხელისუფლების მიერ ფაქტობრივად მიტოვებულია, ისინი ამისთვის თითქოს ვერ (არ) იცლიან და მხოლოდ კოსმეტიკური საშუალებების გატარებით კმაყოფილდებიან. ქვეყანა ორ ცეცხლს შუაა ჩავარდნილი. ეკონომიკით ფაქტობრივად რუსეთზეა ჩამოკიდებული, პროპაგანდა-იდეოლოგით კი (სულიერად გამხრწნელი იდეოლოგიით) ევროპელ-ამერიკელები ჩვენს სულში ხელებს აფათურებენ.

დაბნეულია დიდი და პატარა, ბოლო **სამ წელიწადში საქართველოში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე თითქმის სამი ათასმა ადამიანმა, რომელთა შორის უმეტესობა ახალგაზრდობაა!** (ასეთი შემთხვევა ბორჯომშიც იყო). ე.ი. ერთ წელში თითქმის 1000 ახალგაზრდა იკლავს თავს! ეს შემზარავი სტატისტიკაა (მით უმეტეს, ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის და, საერთოდ, ქვეყნისთვის)! არავინ დაინტერესებულა, საფუძვლიანად შეესწავლათ ამ ფაქტის სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები და მიზეზები. ხელისუფლება ამისთვის „ვერ იცლის“ იმიტომ, რომ, როგორც ზევით აღვნიშნე, ოპოზიციასთან ძიძგილაობით და არჩევნების მოგებით არის დაკავებული! მოგისმენიათ სადმე, რომ ხელისფლების მაღალი წარმომადგენელი ზნეობის პრობლემებით დაინტერესებულიყოს?.. ამ თემებზე (პრესით თუ ტელევიზიით) მხოლოდ საეკლესიო მოღვაწენი საუბრობენ.

იმ „ავადსახსენებელ“ კომუნისტების ეპოქაში სუიციდის შემთხვევები იშვიათად ხდებოდა და მაშინაც ერთი ამბავი ატყდებოდა ხოლმე. მაინც რატომ გაიზარდა ეს სავალალო სტატისტიკა? ნურავის ჰგონია, თითქოს მათ თავზე ხელი აიღეს მხოლოდ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო. უმრავლესობა სულიერმა სიღარიბემ გაანადგურა, საზოგადოებისგან მათდამი სითბოს არ გამოჩენამ, ადამიანური ღირსების დამცრობამ, გინებამ, უხამსობამ და უსამართლობამ, რასაც ისინი ტელევიზიით, კომპიუტერით და, რაც მთავარია, ცხოვრებისეულ გარემოში ხედავენ. თაობები გადააგვარა ნარკომანიამ, აზარტულმა თამაშებმა, უბრალოდ, უსაქმურობამ, ლიბერასტულმა იდეოლოგიამ (დონალდ ტრამპმა გაეროს ანსამბლეაზეც კი განაცხადა: მომავალი ლიბერალებს კი არა, პატრიოტებს ეკუთვნისო!). ამ საქმეში სცოდავენ როგორც პედაგოგები, ასევე მშობლებიც და მთლიანად საზოგადოებაც. ადრე პოლიციაში (მილიციაში) „ბავშვთა ოთახები“ ფუნქციონირებდა. გააუქმეს. ახლა სადმე არის ზნეობის ოთახები თუ კაბინეტები, თუნდაც მუნიციპალიტეტებში? აი, შედეგიც: **დღეს საქართველოში ყოველი მეორე ოჯახი ინგრევა!** მახსენდება ერთი შემზარავი ფაქტიც: ყოფილ პრეზიდენტს მარგველაშვილს შეუწყალებია ვინმე მკვლელი - კრიმინალი. იგი კვლავ ვიღაცას მოკვლას უპირებდა. ამ უკანასკნელმა პოლიციაში განაცხადა: კრიმინალს ხელწერილი დააწერინეს, რომ არაფერს დააშავებდა, მაგრამ მან ეს კაცი მაინც მოკლა. ე.ი. პოლიციამ ვერ დაიცვა მოქალაქე. აქ საჭირო იყო დღეღამური ყურადღება და ისეთი კონტროლი, რომ დამნაშავეს თავისი ბოროტი ზრახვა ვერ შეესრულებინა.

განვაზოგადოთ ეს ფაქტი და საშინელ დასკვნას მივიღებთ: სახელმწიფო ვერ იცავს თავის მოქალაქეებს! თვით სუიციდის ამდენი შემთხვევა მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო სათანადოდ არ ზრუნავს თავის მოქალაქეებზე და წინასწარ პრევენციულ ზომებს არ იღებს.

ავიღოთ თუნდაც დემოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც ქართველს გაქრობით ემუქრება. რამდენიმე წელია, ადამიანების გარდაცვალებამ გადააჭარბა შობადობას. 2000-2009 წლებში თუ თურქეთის მოსახლეობის რაოდენობა თითქმის 9 მილიონით გაიზარდა, საქართველოში ამ პერიოდში მოსახლეობის მატებამ მხოლოდ 53 584(!) კაცი შეადგინა, ისიც საქართველოში მცხოვრები არაქართველების ხარჯზე!

ცნობილია ჩვენი პატრიარქის ზრუნვა მესამე და უფრო მეტი შვილის გაჩენაზე. ამ მხრივ სახელმწიფოც მიმართავს გარკვეული ოჯახების წახალისებას, მაგრამ ეს ბრძოლა მაინც არასაკმარისია და თითქმის კოსმეტიკურ ხასიათს ატარებს. ცნობილია, რომ, მაგალითად, სახელმწიფო ხუთსულიან ოჯახს ყოველთვიურად უხდის 341 ლარს. მკვლევარებმა გამოიანგარიშეს, რომ თუ ოჯახის მარჩენალი წევრები არ მუშაობენ, ოჯახი მაინც სიღატაკისთვის და შიმშილობისთვის არის განწირული.

ახალმა პრემიერმა **გიორგი გახარიამ** გამოაცხადა, რომ პედაგოგების ხელფასები მომავალ წელსაც მაქსიმუმ 300 ლარით გაიზრდება. ეს კარგია, მაგრამ პედაგოგს, რომელიც კერძოდ ამზადებს ბავშვებს, ამ 300 ლარს 1000, 2000 და 3000 ლარი ურჩევნია! ამიტომ ის სკოლაში ყველა ბავშვს ვერ გაუნაწილებს სითბოს და სიყვარულს, რითაც ცოდნის გარდა რაღაც დოზით ადამიანურობასაც ასწავლის. ამრიგად, ხდება ბავშვების შერჩევა და ერთი ნაწილის, თავისდაუნებურად, ჩაგვრა! განათლების სისტემაში ყოველ 1-2 წელიწადში გამოცვლილი მინისტრები სკოლებში რეფორმებს ვერ გაატარებენ, ხდება ბავშვების დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად, სადაც არის ელიტური თუ კერძო სკოლები (XII კლასი საერთოდ გასაუქმებელია!)! მე თუ მკითხავთ, ღარიბი მოსწავლეების ღირსების შელახვა სუიციდის ერთ-ერთი მიზეზია!

განათლების სამინისტრო კვლავ „ემორჩილება“ „დასავლეთს“. მაგალითად,სამინისტრომ გაეროს სამ ფონდთან (ისევ **ფული და მოსყიდვა!)** მოაწერა ხელი შეთანხმებაზე, რომლის მიხედვითაც „ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა, ჯანსაღი ცხოვრება და რეპროდუქციული ჯანმრთელობა (იგივე — სექსუალური განათლება(!)) უახლოეს მომავალში ქართული სკოლის სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი იქნება(!)... დასავლეთმა არ იცის, როგორც ჩანს, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნეში რუსთაველმა თქვა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. ქართველობა „ვეფხისტყაოსნის“ იდეალებით იზრდებოდა და კვლავაც ასე უნდა იყოს. ჩვენი წინაპრები შვილებს ვაჟკაცობას და ქალისადმი პატივისცემას ასწავლიდნენ და არა აღვირახსნილ სექსს! ისინი რაინდებს ზრდიდნენ. ახლაც კი ციხეში დიდი ხნის წინათ გამოსამწყვდევი „გირჩის“ ავადმყოფი ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე ნარკოტიკების მოხმარებას ქადაგებს და 4000-ზე მეტ ახალგაზრდას ჯარში არწასვლა გაუჩალიჩა“. ისრაელში გოგონებიც მიდიან ჯარში, ქართველი ბიჭები ასე რამ დაადედლა? ასეთი ლაჩრები თავსაც ადვილად მოიკლავენ და დღევანდელი სავალალო მდგომარეობაც სულ არ არის გასაკვირი! იმედია, ახალი თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** ჯარში სათანადო დისციპლინას დაამყარებს და ეს პირობა მან უკვე მისცა ხალხს!

კარგია, რომ ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა** შიმშილს გადაარჩინა მრავალი გამოჩენილი და ღვაწლმოსილი ადამიანი, მაგრამ ამან, ჩემი აზრით, უარყოფითი მხარეც გამოაჩინა. ეს ადამიანები სოციალურად პასიურები გახდნენ და ქვეყნის მმართველობაში არსებულ შეცდომებზე თვალს ხუჭავენ. **ასეთი შერჩევითი ქველმოქმედებით ერი ვერ გამთლიანდება!**

ადრეც ვწერდი: მთავრობას ურჩევნია, მარიხუანის მოშენების პროექტების დაწერის ნაცვლად სულიერების ამაღლების პროექტები დაწეროს! ახლაც **ამას ვყვირი!** ამ გზაზე ერთ-ერთი კარგი და პოპულარული ნაბიჯი იქნება სარაჯიშვილის მიერ მწერლებისადმი ნაჩუქარი და **ამჟამად წართმეული მწერალთა სახლი (მაჩაბლის №13-ში) ისევ მწერლებს რომ დაუბრუნდეს! აგრეთვე ჟურნალისტებს რომ დაუბრუნდეს ამჟამად გაყიდული პრესის სახლი (კოსტავას ქ. №14), ე.ი. მთავრობამ უკან გამოისყიდოს!**

ჩვენი ქვეყანა ხალხის მძარცველი ბანკირების და ვაი-ბიზნესმენთა სათარეშო კი არ უნდა იყოს, არამედ „სულის ინჟინერთა“, „სულიერების თვალის ამხილებელთა“ მეტროპოლიად უნდა გარდაიქმნას!

ᲣᲨᲐᲜᲒᲘ ᲯᲐᲜᲒᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ქ. ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ

P.S. **რუსთთან ომის შემდეგ, როდესაც ჩეჩნებს გენოციდი მოუწყვეს და ლამის სულ ამოწყდნენ, შეუპოვარმა და პატრიოტმა ჩეჩნებმა დაიფიცეს: თითოეულ ოჯახს 7 შვილი გაეზარდა! ასეც მოიქცნენ და მალევე გამრავლდნენ!**

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ისრაელში დაბრუნებულმა ებრაელებმაც დაიფიცეს: ჩვენი ხრიოკი ქვეყანა ბაღნარად გადავაქციოთო. ებრაელებმა შრომას მოუმატეს და ფიცი საქმედ აქციეს.

ასეთი ფიცის დადება მართებს ქართველებსაც!! თუ გვინდა, 50 წლის შემდეგ სულ რომ არ გავქრეთ! ეს ფიცი კი მაშინ უნდა დაიდოს, როცა ერი გამთლიანდება, როცა ცოდვილნი მოინანიებენ და სამართალი იზეიმებს!

Უ. ᲯᲖ.

„ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ“:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ „შიმშილობის მსოფლიო ინდექსი 2019“, რომლის თანახმადაც, კლიმატური ცვლილებები სახიფათო მასშტაბებს აღწევს და ძირს უთხრის მსოფლიოს ყველაზე პრობლემური რეგიონების უზრუნველყოფას სურსათით.

ინდექსში მოცემულია ინფორმაცია 117 ქვეყნის შესახებ. 2000 წლის შემდეგ ამ ქვეყნებში შიმშილობის მაჩვენებლები და ტენდენციები პროგრესისკენ მიუთითებს. მაგრამ, ანგარიშის ავტორების თქმით, მსოფლიოს ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი 2030 წლისთვის შიმშილის ნულოვანი დონის მისაღწევად, როგორც ამაზე მსოფლიო ლიდერები არიან შეთანხმებული.

ინდექსის თანახმად, 47 ქვეყანაში შიმშილობის დონე „სერიოზული“ ან „საგანგაშოა“. ერთ ქვეყანაში — ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში — ვითარება „უკიდურესად საგანგაშოა“.

„შიმშილობის მსოფლიო ინდექსი 2019“-ში საქართველოს 39-ე ადგილი უკავია. საქართველოზე უკეთესი პოზიციები აქვთ ყირგიზეთს, ირანს, სომხეთს, აზერბაიჯანს, სერბეთს, რუსეთს. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ უკრაინასა და ბელარუსს.

ცნობისთვის: **ეს არის მე-14 ყოველწლიური ანგარიში, რომელსაც ერთობლივად ამზადებენ ორგანიზაციები** Concern Worldwide lf Welthungerhilfe. **„შიმშილობის მსოფლიო ინდექსის“ მიზანია, ფართო მასშტაბით გამოიკვლიოს შიმშილობის პრობლემები გლობალურ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე. ინდექსის მიზანია, გაზარდოს შიმშილობასთან დაკავშირებული პრობლემებისადმი ყურადღება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც შიმშილობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.**

ირაკლი კობახიძე:
საპარლამენტო არჩევნებზე „ქართული ოცნება“ დაახლოებით 60 პროცენტს აიღებს

ეჭვი არავის ეპარება, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტია „ქართული ოცნება“ იქნება, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

„ეს არის მარტივი არითმეტიკა, საუბარია მარტივ კალკულაციაზე, რომელიც ჩვენ იმის პროგნოზირების საშუალებას გვაძლევს, თუ რა შემთხვევაში გახდება შესაძლებელი კოალიციის ფორმირება. რეალურად, გამარჯვებულმა პარტიამ უნდა მიიღოს დაახლოებით მინიმუმ 45 პროცენტი იმისთვის, რომ შედგეს კოალიცია.

გამარჯვებულ პარტიას რაც შეეხება, ეჭვი არავის ეპარება, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ეს იქნება „ქართული ოცნება“, თუმცა 45 პროცენტი არ არის ჩვენი მიზანი და ჩვენი ამოცანა. მე ვფიქრობ, რეალური სურათი რაც ალბათ შეიქმნება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, არის დაახლოებით შემდეგი: 60 პროცენტი „ქართული ოცნება“, 20 — „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი „ევროპული საქართველოთი“ და 20 პროცენტი დანარჩენი ოპოზიცია. ეს არის რეალურად მიღწევადი შედეგი „ქართული ოცნებისთვის“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„არიან პარტიები, რომლებთანაც შეუძლებელია „ქართული ოცნებისთვის“ კოალიციის შექმნა. ეს არის „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი ყველა განშტოებით, ეს არიან ის პოლიტიკური პარტიები, რომელებიც ღიად აცხადებენ, რომ საქართველო არ უნდა გახდეს მაგალითად, ნატო-ს წევრი, რომლებიც უპირისპირდებიან დასავლური ინტეგრაციის მიზანს. ასეთ პარტიებთან ჩვენთვის შეუძლებელი იქნება კოალიციის შექმნა. ზუსტად აქ რჩება ხუთპროცენტიანი სივრცე. თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მარჩიელობა ჩვენ არ დაგვჭირდება. არჩევნების წინ და არჩევნების შემდეგ, ჩვენ შევძლებთ ისეთი შედეგის მიღწევას, რომელიც კოალიციის შექმნას საჭიროს არ გახდის“, — განაცხადა კობახიძემ.

გიგა, თქვენი მოსატყუებელი კბილები დიდი ხანია, მოიცვალა ხალხმა, თან თქვენც დააძრეთ 2012-ში

გიგა ბოკერია კვლავ პოლიტიკურ ველზე ყოფნა ქანთარიამ ხელისუფლების მთავარ დანაშაულად შეაფასა.

„ერთ ძალიან კარგ და დიდებულ ამბავს მინდა გამოვეხმაურო. გუშინ თუ გუშინწინ ყური მოვკარი და მერე მოვუსმინე ჩვენი „სასიქადულო“ დეპუტატის, ბატონი ბოკერიას წინასაარჩევნო სტრატეგიატრალივალის და სიმართლე რომ გითხრათ, გულზე მომეშვა. მინდა, „ოცნების“ წევრებსაც მივულოცო ეს სასიხარულო ამბავი, რომ თურმე ბატონი ბოკერია მოდის ხელისუფლებაში და არ დაგვიჭერს, მეგობრებო. არ ვიცი, ეს მართლაც დიდი ამბავია. იმიტომ კი არ დაგვიჭერს, დანაშაული არ გვაქვს ან ვეცოდებით — არა, პოლიტიკურად ეს თურმე ძალიან სწორი იქნება და რაც მთავარია, ბიძინა ივანიშვილსაც არ დაიჭერს არავითარი დანაშაულის გამო.

არადა, ჩვენი მთავარი დანაშაული, ვფიქრობ, ის არის, რომ თქვენ და თქვენისთანები, გიგა, ბიძი, დასრიალებთ ისევ პოლიტიკურ ველზე. მე არ ვარ დარწმუნებული და არ ვიცი, სიგარეტი გეჭირა თუ არა, მაგრამ იმდენად სპეციფიკური ხმა გაქვს, ძალიან მეეჭვება, რომ ვერ ამოეცნე ცხონებულ სულხან მოლაშვილს და ირაკლი ბათიაშვილიც არ ცდება, როდესაც ამბობს, რომ მისი უსამართლო დაჭერის ერთ-ერთი მთავარი მოთავე იყავით თქვენ. ასე რომ, ეს გარანტი მშვიდობის და თითქოს მშვიდობის მტრედობა და სტაბილურობის გარანტი ვერ გახდებით და ვერც მოსახლეობას ამას ვერ დააჯერებთ, რადგან თქვენი მოსატყუებელი კბილები დიდი ხანია, მოიცვალა ჩვენმა მოსახლეობამ. ჯერ ერთი, ზოგს თქვენ დააძრეთ 2012 წელში, ეს მინდა გაგახსენოთ. ერთი მხრივ, ამას ჩვენი მოქალაქეები არ დაიჯერებენ და მეორეც, გიგა, აი, ამ ვითომ მიმტევებლური რაღაც განცხადებით ეშმაკთანაც იფუჭებ საქმეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ იმ პარტიას და იმ პოლიტიკურ ჯგუფს მართლა, ჩემდა თავად, რა ვუთხარი, თქვენი მისატევებელი რომ გახდება“, — განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

◎ ძალადობა ქართულად...

თამთას ორგზის კინაღამ გაუპატიურების ამბავი

დიალექტიკის მთავარი კანონი – რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლა

ამ ბოლო ხანს დასავლეთს ფართოდ მოედო „სიახლე“: თუ ოდესღაც, თუნდაც 30-60 წლის წინათ, მეშვიდე კლასში თანაკლასელი გოგონასთვის ნაწნავი მოგიქაჩავს, ადგება და გიჩივლებს, როგორც იმერეთში იტყვიან, მაგ გათახსირებულმა კაცმა შემიკვეთაო, ანუ ჩემზე სექსუალური ძალადობა სცადა, რის გამოც წყენა და დაჩაგვრის გრძნობა დღემდე ნერვებს მიწიწკნისო.

წადი ახლა და ამტკიცე, რომ აქლემი არა ხარ!

ჰოდა, მთლად დამაჯერებლად ვერც გამოჩენილმა კინომსახიობმა დე ნირომ, ვერც დიდმა მომღერალმა პლაჩიდო დომინგომ და ვერც სხვებმა დაამტკიცეს უდანაშაულობა. უბედურმა დომინგომ ფიცით ცოლ-შვილი სულ გაიწყვიტა, მაგრამ პირველი მომჩივანი ბებიკოს პარალელურად ათობით სხვა ბებიკოც შეატყდა თვალებში, მე კოცნა მომინდომა 1973 წლის აგვისტოში, მე „კარმენის“ რეპეტიციაზე უკანალზე მიჩქმიტა 2001 წელშიო... და სამუდამოდ გამოიხურა მეტროპოლიტენ ოპერის კარი თვალცრემლიანმა მსოფლიო ტენორმა. რაც მთავარია, ამბობენ, ამ სიბერეში სულაც ბარიტონზე გადავიდაო.

სიახლე, რაგინდ შორს, ცხრა ზღვისა და ცხრა მთის იქით იყოს შობილი, ბოლოს მაინც აღწევს პატრიარქალურ, დალაგებულ საქართველომდე. ჰოდა, ამ „ნოუ-ჰაუმაც“ მიაღწია ჩვენამდე და პირველად თბილისის საკრებულოს წევრს ილია ჯიშკარიანს გაახსენა რომელ მხარეს ჰქონდა გული და საავადმყოფოს პალატაში გაშოტა.

გაშოტვამ არ უშველა. დაზარალებული თამთა თოდაძე სისხლიან სატისფაქციას მოითხოვს დაჟინებით და წარბშეუხრელად: მხოლოდ მაგის ციხეში ჩასმა დამიამებს სულიერ ტკივილებს, სექსუალურმა შემოტევამ რომ ამიშალაო. არადა, ადვოკატიც ისეთი მებრძოლი და, შესაბამისად, გულანთებული ფემინისტი ქალბატონი ჰყავს, სადათვე ხაფანგში გაბმულ ჯიშკარიანს სხვა არაფერი დარჩენია — ბაწარში უნდა გაუყაროს თავი, თორემ ანტიჯიშკარიანისტულმა საპროტესტო გენდერულმა მოძრაობამ დუღილის ისეთ გრადუსს მიაღწია, რომ ხვალ შეიძლება სულაც დამნაშავის კასტრაცია მოითხოვოს, თანაც გენიტალიების ნებაყოფლობით თვითშეწირვის საფუძველზე.

მანამდე ილია ჯიშკარიანმა ინტერვიუ კი მისცა „ტვ პირველს“, დეტალებზე არ უსაუბრია, დეტალების შესახებ საუბარს სასამართლო პროცესზე გეგმავს, ოღონდ ეს კი ამოიგმინა, **ყველაფერი შეთხზულია, რასაც თამთა თოდაძე ლაპარაკობსო.**

ილია ჯიშკარიანი ყველაფერს მტრების ხრიკებს აბრალებს. მთელი ეს ამბავი სპეციალურად არის მიმართული ჩემი დისკრედიტაციისკენ, სახელის გატეხისკენ და თუ ავტორიტეტი გამიფუჭდება, რა თქმა უნდა, „ქართულ ოცნებას“ ზიანი მიადგება. ექიმები ფეხზე რომ დამაყენებენ, თავს დამტყდარ უბედურებას გავუმკლავდებიო.

ქალზე ძალადობასა და ცემაში დადანაშაულებული ილია ჯიშკარიანი 54 წლის კაცია, ცოლ-შვილის პატრონი. როგორც ამბობს, თამთა თოდაძე მასთან პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის რეკომენდაციით უკვე 3 წელია სამუშაოდ მივიდა. მის მოვალეობაში შედიოდა ადამიანების მიღება-გასტუმრება. უცებ დაწინაურების ამბიცია გაუჩნდა და ჩემს თავზე ლაფის დასხმით „ზევით“ გზის გაკვალვა მოინდომაო.

ერთი სიტყვით, ილია ჯიშკარიანს თამთა თოდაძემ უჩივლა, გაუპატიურება დამიპირა და მცემაო. მას ბრალი ორი მუხლით წარედგინა: სსკ-ის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რომელიც არ შეიცავს ამ კოდექსის 137-ე მუხლით — გაუპატიურება — გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილია ძალადობით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი).

ჭეშმარიტებაა, რომ ამ ხასიათის მასალის გაშუქებისას მედია უნებლიეთ არ უნდა აღმოჩნდეს დაზარალებულის მხარეს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს დასკვნის გარეშე წინასწარ არ უნდა მივაკეროთ ადამიანს დამნაშავის იარლიყი.

ილია ჯიშკარიანის პიროვნება მეტნაკლებად ცნობილია, ასევე საფუძვლიანად არის შესასწავლი თამთა თოდაძის ფსიქოლოგიური პორტრეტი — მწვადის შეწვისას შამფური არ უნდა დაგვეწვას, თორემ მხოლოდ დაზარალებულის ცრემლები და ცრემლებდართული თხრობა თავსგადახდენილი ძალადობის მცდელობის შესახებ, სულაც არ არის ბრალდების უტყუარი საბუთი.

თანაც, როგორც ირკვევა (ეს „ნარკვევი“ ინტერნეტში დევს), თამთა თოდაძე არა უბრალოდ დაზარალებული, არამედ, ორგზის დაზარალებული ყოფილა. ახლავე აგიხსნით რატომ და რანაირად...

გასული წლის 25 ოქტომბერს მიროტაძის ქუჩაზე მეგობრული ლხინი გამართულა, მოულოდნელად ხმაური ატეხილა: ქალის წიკვინი და კაცის საპროტესტო ღრიალი. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მეინახე ქალბატონი, კერძოდ, თამთა თოდაძე, არიფიონის წევრ მამაკაცს, ვინმე ჯ.მ.-ს ძალადობაში ადანაშაულებდა. გამოიძახეს პატრული, ოღონდ ადგილზე მისულ პოლიციას თამთამ განუმარტა, სუფრაზე ყველამ დავლიეთ, რის გამოც გონება დავკარგე, ჯ.მ. ჩემს მოსულიერებას ცდილობდა და ეს ძალადობა მეგონაო.

ვაკე-საბურთალოს პოლიციაში საქმის გამოძიება მაინც დაიწყო სსკ-ის 126-ე — ძალადობის მუხლით, ოღონდ საჩივრის ავტორმა თამთა თოდაძემ სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე ცივი უარი განაცხადა. გამოკითხვის დროს კი განმარტა, რომ **ჯ.მ.-ს მიმართ პრეტენზია არ ჰქონდა, საპატრულო ეკიპაჟი გაუცნობიერებლად(?) გამოვიძახე და ძალადობის შესახებ ინფორმაცია პატრულს ნამდვილად მივაწოდე, თუმცა ეს „გაბრაზებულმა, ცხელ გულზე გავაკეთეო...“** თამთამ მეორე დღეს განცხადება თავადვე გამოიტანა. ამის შესახებ მან ინფორმაცია თავადვე დაადასტურა სატელევიზიო ეთერში. ისე რომ, შარშან თამთას თურმე პირდაპირ ხალხმრავალ სუფრაზე მოუნდომეს „გაუპატიურება“, წლეულს კი — სამუშაო ადგილზე...

ინტერნეტში უკვე გაჩნდა ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებები:

„თამთა, ნუ გეშინია, შენ კარგი ადამიანი ხარ და ძალიან ბევრი მხარდამჭერი გეყოლება. მაგ ნაძირალას შამპანურის საცობივით მოისვრიან, თუ არადა, თვითონ მიჰყვებიან პოლიტიკურ და მორალურ სამარეში“; „დაუჯერეთ, დაუჯერეთ მაგ თქვენს მტირალა აფერისტს!..“

ჩემთვის, უბრალოდ, ორი რამ აშკარაა, პირველი ის, რომ ამ პირველს უთუოდ მოჰყვება მეორე, მეხუთე და ა.შ. სექსუალური ძალადობის პროცესები. მეორე, ამ კონკრეტულ პროცესს კოჭებში ეტყობა, რომ საბოლოოდ მძაფრ პოლიტიკურ რეზონანსს შეიძენს: მაშ როგორ, ილია ჯიშკარიანი ხომ პარტიული კაცია, „ქართული ოცნების“ წევრი. უკეთესს რას ინატრებ, სიბინძურეთა ჩხრეკვაში გაფაციცებული კაცი!..

დაბოლოს. თამთას თავს გადახდენილი, ამ ორი შემთხვევის ერთობლივად გააზრება აუცილებლად მიგვიყვანს იქამდე, რასაც დიალექტიკური მატერიალიზმის ერთ-ერთი მთავარი კანონი გვასწავლის — რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის აუცილებლობამდე!

ალეკო ასლანიშვილი

კავკასია - სწორება ცხვირზე!

მოგზაურობა საქართველოში ქართულ-სომხური ანეკდოტების ფონზე

როდესაც ღმერთი ურიგებდა ადამიანებს ცხვირებს, სავარაუდოდ, პირველები რიგში იყვნენ რუსები.

ღმერთმა ჰკითხა მათ, როგორ ცხვირებს ისურვებდნენ ისინი. რუსებმა უპასუხეს - ხომ იცი, ღმერთო, ჩვენ არაყი გვიყვარს. მოგვეცი ისეთი ცხვირები, რომ არყის სმაში არ შეგვიშალოს ხელი“.. ჰოდა მისცა ღმერთმა რუსებს აპრეხილი ცხვირი, რომელიც მოხერხებულია არყის სმის დროს.

რუსების შემდეგ რიგში იდგნენ ქართველები, რომლებმაც უთხრეს ღმერთს, რომ უყვართ მთები, ამიტომაც ღმერთმა მისცა მათ მთების მსგავსი ცხვირები. მოვიდა სომხების ჯერი. „სომხებო, თქვენ როგორი ცხვირები გსურთ?“ — ეკითხება მათ ღმერთი. სომხები საპასუხოდ ეკითხებიან ღმერთს — „ფასს გააჩნია. რა ღირს?“ — ღმერთი პასუხობს — „უფასოა. მე ხომ ღმერთი ვარ“... სომხებმა კი უთხრეს — „თუ უფასოა — მოგვეცი ყველაზე დიდი“...

ხუმრობა მისაღებია სიტუაციის განმუხტვისთვის...

ეს ანეკდოტი მომიყვა სომეხმა გიდმა სახელად ვაკო, როდესაც ჩვენ ვიჯექით ერევნის ერთ-ერთ ბარში. ამით მას სურდა სიტუაციის განმუხტვა და პოლიტიკაზე საუბრის თავიდან არიდება.

მანამდე ჩვენ ვსაუბრობდით ყარაბაღზე, ომზე, მასობრივ მკვლელობებზე, ფერად რევოლუციაზე, რომელმაც ვერ მოუტანა ყვავილები სომხებს.

არა, რა თქმა უნდა, სამყაროს არა აქვს პრობლემები ცხვირებთან — არის პრობლემები ჩვეულებრივ თემებთან დაკავშირებით — პოლიტიკა, ძალაუფლება, ომი. ამიტომაც ხუმრობა არასდროს არაა ზედმეტი სიტუაციის განმუხტვისთვის.

თუ კარგად დაუკვირდებით, აუცილებლად დაინახავთ თავისებურებებს — სომხები და ქართველები ხშირად ხუმრობენ ერთმანეთზე, თუმცა, რატომღაც, არასდროს — მეზობლებზე — აზერბაიჯანელებზე და თურქებზე. სომხეთი უკვე 31 წელია, ომის მდგომარეობაშია აზერბაიჯანთან, ხოლო თურქებს ვერ პატიობს 1914 წლის გენოციდს, რომელმაც შეიწირა 1,5 მლნ. სომეხი. თანაც თურქეთი ჯიუტად არ ცნობს გენოციდის ფაქტს.

ასეთ მეზობლებზე ხუმრობა სომხებს არ სურთ

სომხები ქართველებზე ხშირად ხუმრობენ. რუსების ქედმაღლობაზეც, თუმცა ამავე დროს არიან მათი მოკავშირეები — თუ ქართულ ქალაქებში ნახავთ როგორც რუს ტურისტებს, ასევე ანტირუსულ წარწერებს კედლებზე, სომხეთში არაფერი მსგავსი არაა — ხელისუფლების ბოლოდროინდელი ცვლილების მიუხედავად, ისინი არ აყენებენ ეჭვის ქვეშ მეგობრობას მოსკოვთან.

სტალინი დახლებზე

როდესაც მე, ჩემს გიდთან ჟანასთან ერთად შევუხვიე ქალაქ გორის ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაზე, დავინახე დახლი, სადაც იყიდებოდა სტალინის სუვენირული ქანდაკებები. ვეკითხები ჟანას — ჩინეთში ხომ არაა წარმოებული?

ის ვერ მალავს ნანახით აღშფოთებას — მისი თქმით, საკმარისია ისიც, რომ ამ სუვენირების დიდი ნაწილი იწარმოება გორში. მან შემომთავაზა გასეირნება და სტალინის გარეშე გორის ნახვა, თუმცა, ეს არ იყო ადვილი ამოცანა — სტალინის სახლთან გვერდით დგას სტალინის ძეგლი, გვერდით მუზეუმია, რომელიც უფრო ადიდებს ბელადს, ვიდრე გვახსენებს მისი მსხვერპლების შესახებ.

ეს მუზეუმი არის დასავლეთზე ორიენტირებულ საქართველოში, და ის გვაგონებს ისტორიულ ანეკდოტს.

2008 წლის აგვისტოში გორი იყო რუსული თავდასხმის ერთ-ერთი ობიექტი — დღეს მხოლოდ რამდენიმე ნატყვიარი გვახსენებს იმ ომს, თუმცა, 11 წლის წინ აქ ყველგან ნახავდით დასისხლიანებულ ადამიანებს.

ადგილობრივებთან ერთად იმ დღეს აქ დაიღუპა ჰოლანდიელი ჟურნალისტი სტენ სტორიმანი. ერთ-ერთი კედელზე ვიღაცამ დახატა სურათი, რომელიც არის საქართველოს მიერ მიღებული ტრავმის სიმბოლო — ქვეყნის იმედი პატარა გოგონას ხელშია, რომელიც ცდილობს, მაკრატლით გადაჭრას მავთულხლართი და დაკრიფოს ვაშლი ხიდან, რომელიც დგას ბარიერის იქეთა მხარეს.

ჟანა აღიარებს, რომ მას აქვს პრობლემები რუსეთთან — იმის შემდეგ, რაც რუსმა ჯარისკაცებმა დაამყარეს სრული კონტროლი სამხრეთ ოსეთზე, დაიწყო მავთულხლართების გავლება, რის შედეგადაც საქართველომ დაკარგა რამდენიმე სოფელი. ეს საზღვარი სულ რამდენიმე კილომეტრშია გორისგან. თუმცა, მოსკოვი უარყოფს ყველა ბრალდებას.

საქართველო - სტალინისადმი სიყვარული და ზიზღი

რუსეთთან 5-დღიანი ომის შემდეგ საქართველოს ხელმძღვანელობამ დააპირა სტალინის მუზეუმის გადაკეთება რუსული აგრესიის მუზეუმად, თუმცა, გეგმა ჩავარდა. დღეს საქართველოში სტალინისადმი დამოკიდებულება წარმოადგენს სიყვარულის და ზიზღის უცნაურ ნარევს.

ბევრი ქართველი ამაყობს მისი ქართული წარმოშობით, და იმით, რომ მას იცნობს მთელი მსოფლიო. სხვებს ეზიზღება სტალინის თაყვანისმცემლები მათი ახლომხედველობის გამო. 2018 წელს სტალინის მუზეუმი მოინახულა 160 000-მა უცხოელმა ტურისტმა და ეს მაჩვენებელი იზრდება ყოველწლიურად - მათ შორის უმრავლესობა არიან რუსები და რატომღაც, ირანელები.

ქართულ-სომხური ხუმრობები

ქართველები და სომხები ხშირად დასცინიან ერთმანეთს — მაგალითად, საქართველოში ბევრი ანეკდოტებია სომხებზე, რომლებიც, ქართვლების აზრით, ახდენენ ქართული კულტურული ტრადიციების „კოპირებას“ — მაგალითად, მათ „მოიპარეს“ ქართული ეროვნული კერძი ხინკალი, რომელსაც ერევანში ეძახიან „XL ზომის რავიოლის“.

სომხები, თავი მხრივ, აქტიურად ხუმრობენ ქართველებზე, რომლებიც, მათი ვერსიით, თავიანთ ეროვნულ ეფოსში აქტიურად ახსენებენ სომეხი თავადების გვარებს. უცხოელი ტურისტებისთვის ეს უფრო წაგავს შეყვარებულების ჩხუბს...

AUGSBURGER ALLGEMEINE ZEITUNG

ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი 2019“

თბილისის მერიის მხარდაჭერით 19 ოქტომბრიდან 19 ნოემბრამდე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება. ამასთან დაკავშირებით გუშინ სასტუმრო „მუზეუმში“ პრესკონფერენცია გაიმართა.

ფესტივალის 2019 წლის პროგრამაზე და სიახლეებზე ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ და გენერალურმა მენეჯერმა სოფო თორთლაძემ ისაუბრეს. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ესპანეთის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი საქართველოში ხორხე ლუჩინი სერანო დე ჰარო, ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი პიერ კლუე და თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა.

„შემოდგომის დასასრულს თბილისს უდიდესი საჩუქარი ელის. ქართული და უცხოური სპექტაკლებით გაჯერებული, არაჩვეულებრივი პროგრამა მოგვიმზადეს ფესტივალის ორგანიზატორებმა, რაც თბილისის კულტურულ ცხოვრებას კიდევ უფრო ამდიდრებს და მრავალფეროვნებას სძენს. მრავალი წელია დედაქალაქის მერია ფესტივალის აქტიური მხარდამჭერია და ზუსტად ამგვარი პროექტების მეშვეობით თბილისი არის საფესტივალო ქალაქი და აუცილებლად გახდება კულტურის დედაქალაქი რეგიონში“, — განაცხადა ირაკლი გვილავამ.

ფესტივალს წელს გახსნის ფრანგული თანამედროვე ცეკვის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი მაგი მარენი, თავისი საკულტო დადგმით — May B. გარდა ამისა, თბილისს ესტუმრება ცეკვის ამერიკელი ლეგენდა კაროლინ კარლსონი და მისი დასი, წარმოდგენით „სინქრონულობის გზაჯვარედინზე“.

2019 წლის პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა „ესპანური კულტურის ფოკუსი“, რომელიც ესპანეთის კულტურის სამინისტროსა და ხელოვნების საბჭოსთან თანამშრომლობით შედგა. ფოკუსი ოფიციალურად გაიხსნება 22 ოქტომბერს რუსთაველის თეატრის „სტუმრების ოთახში“ გამართულ კონფერენციაზე. 23 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „ეს არ არის ბერნარდა ალბას სახლი“; 7 ნოემბერს გრიბოედოვის თეატრში გაიმართება როსიო მოლინას წარმოდგენა „დაცემული ანგელოზი“, რომელიც ლორენს ოლივიეს პრიზის ლაურეატია; 16 ნოემბერს ესპანურ ფოკუსს დახურავს ესპანეთის ეროვნული თეატრების Teatro Español და Naves de Matadero სამხატვრო ხელმძღვანელის ნატალია მენენდესის ლექცია „რა სარგებლობა მოაქვს თეატრს ქალაქისთვის“. ლექციაზე გაზიარებული იქნება ესპანური გამოცდილება თეატრის განვითარებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ.

პრესკონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფესტივალის მიერ წარმოებულ პირველ კო-პროდუქციას. ფესტივალზე გაიმართება ცნობილი უკრაინელი რეჟისორის ანდრი ჟოლდაკის მსოფლიო პრემიერა — „მეფე ლირი. ანდრი ჟოლდაკის წამოსახვა“, უილიამ შექსპირის პიესის „მეფე ლირის“ მიხედვით სპექტაკლი განხორციელდა კულტურის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის „საქართველო ევროპაში“ და პროექტ „Check In Georgia“-ს ფარგლებში.

საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით

ვალიადოლიდის საერთაშორისო კინოფესტივალი 19-26 ოქტომბერს ესპანეთში გაიმართება, სადაც საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგება. ქართული ფოკუსის ფარგლებში, აჩვენებენ ბოლო 20 წლის განმავლობაში შექმნილ 20-ზე მეტ ქართულ ფილმს. ინფორმაციას ამის შესახებ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ავრცელებს.

ფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაშია ლევან აკინის ფილმი — „და ჩვენ ვიცეკვეთ“, რომლის მსოფლიო პრემიერა კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

საქართველოს, როგორც სტუმარ ქვეყანას, ვალიადოლიდის ფესტივალი 24 ოქტომბრის პროგრამას მიუძღვნის. არაერთი აქტივობა, მათ შორის, დისკუსია, ქართული კინოს შესახებ მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართება, რომელსაც ქართველი კინემატოგრაფისტები — ქეთი მაჭავარიანი, ნუცა ალექსიმესხიშვილი, თინათინ ყაჯრიშვილი, ლაშა ხალვაში, თორნიკე ბზიავა და ფილმ „და ჩვენ ვიცეკვეთ“ შემოქმედებითი ჯგუფის წევრები დაესწრებიან. საღამოს ესპანეთში ქართული საელჩოსა და ვალიადოლიდის კინოფესტივალის ორგანიზებით ქართული მიღება ფესტივალის სტუმრებითვის გაიმართება.

ვალიადოლიდის კინოფესტივალი 1956 წლიდან იმართება და იგი ესპანეთში საავტორო კინოს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. სხვადასხვა დროს ის დაკავშირებული იყო ისეთ სახელებთან, როგორებიცაა — პედრო ალმადოვარი, კენ ლოუჩი, არტურ პენი, ინგმარ ბერგმანი, ლუკინო ვისკონტი, ფრანსუა ტრიუფო, ვონგ კარ-ვაი, ანუჟი ვაიდა, ნიკიტა მიხალკოვი და სხვა.



გთავაზობთ რუსეთის ყველაზე ავტორიტეტული სოციოლოგიური სამსახურის Левада-центр-ის სოციალურ-კულტურული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელ ალექსეი ლევინსონთან ინტერვიუს – რატომ ვერ ლაგდება ურთიერთობები რუსეთ-საქართველოს შორის?!

რუსებს არც ერთი ერი არ უყვართ!

რუსეთში ყველას დაავიწყდა 2008 წლის ომი...

– გასულ წლებში თქვენ ხშირად ეკითხებოდით რუსეთის მოქალაქეებს საქართველოსადმი მათი დამოკიდებულების შესახებ. ეს თემა ნელა-ნელა ჩაანაცვლა უკრაინულმა საკითხმა. არის თუ არა დღეს საქართველო რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების დღის წესრიგში?

– როდესაც საქართველო არ არის დღის წესრიგში და ეს საკითხი კარგავს პოლიტიკურ კომპონენტს, ამ დროს ხალხის დამოკიდებულება ამ ქვეყნისადმი არის ძალიან კარგი.

ბევრს ლაპარაკობენ რუს ტურისტებზე საქართველოში, იმაზე, თუ როგორ ხვდებიან მათ თბილისსა თუ ბათუმში, თუმცა ეს არ ნიშნავს მაინცდამაინც სიყვარულს – ამ ადამიანებს უყვართ კარგი დასვენება და საქართველო მათ ამას სთავაზობს. ის, რასაც ისინი ხედავენ საქართველოში, მათ აკმაყოფილებთ. სულ ესაა.

ხოლო იმ დროს, როდესაც ოფიციალურ პროპაგანდას გამოჰყავს საქართველო როგორც მტერი, რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობაც ასე მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, დამოკიდებულებაც მისდამი უარესდება.

თანაც, ამ შემთხვევაში იდეა მარტივია, ისევე, როგორც ბალტიის ქვეყნებს და პოლონეთთან დაკავშირებით – მათ უკან დგას ამერიკა, რუსეთის მტერი.

კიდევ ერთი რამის თქმა შემიძლია – როგორც ჩანს, რუსეთში ყველას სრულიად დაავიწყდა 2008 წლის ომი. ჩეჩნურ ომთან დაკავშირებით სულ სხვაა – ბევრს გულის სიღრმეში აქვს შეგრძნება, რომ მოსკოვი არ იყო ამ ომში ბოლომდე სამართლიანი.

თუმცა, ეს გრძნობა იფანტება იმის გამო, რომ დრო მიდის და საქმეში ერთვება რუსული პატრიოტიზმი – ჩვენ მართლები ვართ, იმიტომ რომ ჩვენ ვართ.

რაც შეეხება საქართველოს, რუსების უმეტესობისთვის იდეა, რომ ქვეყნის 20% ოკუპირებულია – საერთოდ არ არსებობს. მეტსაც გეტყვით – წესიერად არც იციან, რა მოხდა. რომ ჰკითხო – აღიარებენ თუ არა ოკუპაციის ფაქტს, შეიძლება გიპასუხონ – „ხო, ალბათ“, ან მერე იტყვიან, ომი რომ საქართველომ დაიწყო.

მოკლედ, დღეს ეს საკითხი ძალიან შორსაა რუსეთის მოსახლეობის ინტერესებისგან.

გასაკვირია, თუმცა, რაღაც მომენტში შესაძლებელი გახდა რუსებში ნამდვილი ანტიქართულო განწყობების გაღვივება – 2008 წელს. ზოგჯერ ეს იყო გულწრფელი ზიზღი, ზოგჯერ კი – დროებითი. ეს იყო უბრალოდ ტრენდი – დღეს, ცოტა ხნით, ამა თუ იმ მიზეზით, არ გვიყვარს ქართველები.

ეს იყო ანტიქართული განწყობების ეპიზოდური ამოფრქვევა, რომელიც დღეს უკვე დიდი ხნის დავიწყებულია.

დღეს, ალბათ, ეს განწყობები არ არის. მეტიც – ქართველები აღარ არსებობენ რუსული ფოლკლორში და ანეკდოტებში, იმიტომ, რომ ქართველები გაქრნენ რუსეთის ბაზრებიდან – როგორც გადატანითი, ასევე პირდაპირი მნიშვნელობით.

შემიძლია ვთქვა, რომ სანქციები საქართველოს წინააღმდეგ აღიქმებოდა გარკვეულწილად სიცილით, იმდენად სამარცხვინო-კომიკური საშუალებებით ხდებოდა მათი შემოღება.

დღეს დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ნელთბილია – 3-4 გრადუსით. ეს არაა ცოტა – რუსები ასე აღიქვამენ მხოლოდ ბელარუსს.

> ნუ ეძებთ სიყვარულს რუსებისგან. ვფიძრობ, საქართველოში მოიძებნება ადამიანები, რომლებსაც გულწრფელად უყვართ რუსეთი – რუსებისთვის კი რომელიმე ერის სიყვარული საერთოდ არაა დამახასიათებელი.
>
> ის კი არა, ქართველები რომ არ უყვართ – არ უყვართ ინსტრუქციის მიხედვით, განრიგით, იმიტომ, რომ ასეა საჭირო. საბოლოო ჯამში, უყვართ საკუთარი თავი.

– როგორი იყო რუსული საზოგადოების რეაქცია გავრილოვთან დაკავშირებულ მოვლენებზე?

– რუსეთში რეზონანსი გაცილებით უფრო მცირე იყო – დაახლოებით როგორც „ისევ რაღაცა ანტირუსულს აკეთებენ“. ვინც ცოტა უფრო მეტად ერკვევა საკითხში, იტყოდა, „ამ კაცს ზედმეტი მოუვიდა“, „გააგზავნეს თბილისში ვიღაცა, ვისაც არ ესმის, რა ხდება“, „ჰო, გასაგებია, თუმცა, რა საჭიროა ამხელა ხმაური“.

რუსული შეგნება ვერ აღიქვამს მომხდარს, როგორც ქართველების შეურაცხყოფას.

– როგორია რუსების დამოკიდებულება ე.წ. აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ?

– ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ არანაირი დამოკიდებულება არ არსებობს, საერთოდ. აფხაზეთი განიხილება, როგორ რაღაც მე-3 ან მე-4 კატეგორიის კურორტი. ვინც იქ იყო – ყველა ჩამოდის აღშფოთებული – „რა მოუვლელია იქაურობა“.

აქ საქმე გვაქვს ძველ მეხსიერებასთან – სოხუმი, ზღვა, სუბტროპიკები.

– რას ფიქრობენ რუსები ფულზე, რომელმაც მოსკოვი ხარჯავს სეპარატისტების მხარდაჭერაზე?

– არაფერს. ლოზუნგი „გვეყოს კავკასიის რჩენა“ – არ ეხება აფხაზეთს და ე. წ. სამხრეთ ოსეთს, აქ საუბარია ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებზე, სადაც რუსეთი ხარჯავს გაცილებით მეტს.

თანაც, ბევრი სხვა, უფრო მკვეთრი გამაღიზიანებელიც არსებობს – მაგალითად ის, რომ მოსკოვში უკვე მეოთხედ აგებენ ქვაფენილს. ხალხს ეს უფრო მეტად აღიზიანებს, ვიდრე ის, რომ ფული სადღაც მიდის. თანაც ეს აღიქმება როგორც საზღვრის გამაგრება – „ეს ხომ ჩვენი საზღვარია, ესე იგი, უნდა გავამაგროთ“.

– გამოდის, რომ რუსეთის ხელისუფლების გზავნილი, რომ ნატო გვიახლოვდება საქართველოს მეშვეობით, მუშაობს?

– კი, ეს ძალიან ცხარე თემაა, ნატო ჭიშკართანაა. ამავე დროს ჩინეთი, რომელიც რუსეთზე გაცილებით ძლიერია, თუ არ ჩავთვლით ბირთვულ იარაღს, საერთოდ არ განიხილება, როგორც სამხედრო საფრთხე.

აი ნატო კი საშიშია და საქართველოს უკანაც ამერიკა დგას – ეს ყველას ახსოვს. სომხეთის უკან არ დგას, საქართველოს უკან – კი.

როგორც პოლიტიკის ნაწილი – ეს ძალიან მნიშვნელოვანია და უარყოფითი, თუმცა, ყოფით დონეზე თითქმის არ მოქმედებს და პირიქით – ყველაფერი კარგადაა.

თუ დაწერ – „აქ ქართული სამზარეულოა“ – ამით მიიზიდავ ადამიანებს და არა პირიქით. ებრაული სამზარეულო გაუგებარია, მაგალითად, უზბეკური – მოყვარულებისთვისაა, ხოლო ქართული – უპირობო პოზიტივია.

შეიძლება, ეს ცოტათი შეურაცხმყოფელად ჩანს, თუმცა, ასეთია მასების სენტიმენტები, ეს ფაქტია.

– რაც შეეხება პუტინის ლეგენდარულ რეიტინგს – არის თუ არა დღეს მისი შემცირების ტენდენცია?

– არა, ეს მცდარი აზრია. პუტინის რეიტინგი კლებულობდა ერთი წლის წინ, ერთი თვის მანძილზე, როდესაც ის გამოვიდა საპენსიო ასაკის ზრდის ინიციატივით. ეს იყო ძლიერი დარტყმა, რის გამოც მისი რეიტინგი შემცირდა 61%-დე. შემდეგ ის მერყეობდა 63-64%-ს ფარგლებში, ბოლო მონაცემებით – გამყარდა 60-დან 70%-მდე.

მოსახლეობის ორი მესამედი სიმბოლურად ერთიანდება ამ ცენტრის ირგვლივ. ეს არაა მისდამი სიყვარული, ან პიროვნების კულტი. რა თქმა უნდა, არიან ისეთებიც, ვისაც ის გულწრფელად უყვართ, თუმცა, ისინი არ ქმნიან მასას.

ეს უნდა გვესმოდეს – ეს არაა პოპულარობა ჩვეულებრივი გაგებით. ეს არის ადამიანების შეკავშირების და კონცენტრირების სურვილი. ეს არის როგორც შეკითხვა „გიყვარს თუ არა რუსეთი?“.

რუსეთს აქვს ასეთი სიმბოლიკა, როგორც ამბობენ „გვირგვინისადმი ერთგულება“. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ატარებს ამ გვირგვინს...

SOVA.NEWS

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ბექარ მუხაშავრიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბექარ მუხაშავრია (პ/ნ 61001064310), ქ. ბათუმი, ქათამაძის 32, სართული 1-2, ბინა 2.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ბათუმი, ქათამაძის 32, სართული 1-2, ბინა 2 (საკადასტრო კოდი: 05.30.11.054.01.002).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16043.53 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 16 ოქტომბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 30 ოქტომბერი, 13:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP63021119; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 630211

6. **მოვალე:** ნინელი ხახუტაიშვილი (პ/ნ 61004019788), ქ. ბათუმი, ქათამაძის 32.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP63021119; ლოტის ნომერი: 630211).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 30 ოქტომბრის 10:00 საათამდე.

შუა საუკუნეების ევროპაში შავი ჭირი რუსეთიდან გავრცელდა...

** შავი სიკვდილი მხოლოდ დასაწყისი იყო. შავი ჭირის ადრეულმა ტალღამ უთვალავი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, მოსპო ევროპის მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტი. თუმცა, ამ დაავადების მომაკვდინებელი ბაქტერიის წარმოშობა გაურკვეველია.**

მე-14 საუკუნის შუა წლებში შავი სიკვდილის ტალღა დასრულდა, მაგრამ შავი ჭირის ბაცილის (Yersinia pestis) შეჩერებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო რჩებოდა; იგი მომდევნო 500 წლის განმავლობაშიც სპობდა ადამიანების სიცოცხლეს. ეპიდემიის ეს ულმობელი საგა, რომელსაც შავი ჭირის მეორე პანდემიას უწოდებენ, მე-19 საუკუნემდე გაგრძელდა. საინტერესოა, საიდან იღებს სათავეს ეს მომაკვდინებელი დაავადება?

ახალი კვლევის ფარგლებში, მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა აღადგინა 10 სხვადასხვა ქვეყანაში შავი ჭირისგან დაღუპული 34 ინდივიდის კბილებიდან აღებული შავი ჭირის ბაცილის (Yersinia pestis) გენომი; ამით შეიქმნა მე-14 – მე-18 საუკუნეებში მძვინვარე შავი ჭირის ერთგვარი გენეტიკური ოჯახური ხე.

ოჯახური ხის შესაქმნელად გამოიყენეს იმ ადამიანთა ნაშთები, რომლებიც ბაქტერიით დაინფიცირდნენ ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. გამოვლინდა Y. Pestis ბაცილის გენეალოგიის მრავალფეროვნება დროთა განმავლობაში, გენეტიკურად განსხვავებულ ჯგუფებში. გაირკვა, რომ ყველა ამ ჯგუფს ერთი საწყისი წერტილი ჰქონდა.

მაქს პლანკის ადამიანის ისტორიის მეცნიერების ინსტიტუტის არქეოგენეტიკოს მარია სპირუს განცხადებით, მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ევროპაში Y. Pestis ვირუსი ერთხელ შევიდა, აღმოსავლეთიდან. ამ დასკვნამდე მას შემდეგ მივიდნენ, რაც გაირკვა, რომ ერთი შტამი უფრო გვიან დაწყებულა, მეორე პანდემიის შტამების წინაპარი იყო.

მკვლევართა თქმით, დაავადების წინამორბედები რუსეთიდან მოვიდა, კონკრეტულად კი ვოლგის ისტორიული რეგიონის ქალაქ ლაიშევოდან. ამ დასკვნამდე ისინი ნიმუშ LAI009-ში არსებულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით მივიდნენ.

როგორც კვლევაში წერია, ფილოგენეტიკურმა რეკონსტრუქციამ აჩვენა, რომ LAI009 შტამი ლაიშევოდან არის სამხრეთ, ცენტრალურ, დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში გავრცელებული შავი სიკვდილის შტამების წინაპარი; გარდა ამისა, აღმოჩნდა რომ სწორედ ის არის წინაპარი ქალაქ ლონდონისა და ბოლგარის გვიანდელი მე-14 საუკუნის შტამებისა.

ნებისმიერ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც რუსული შტამი შავი ჭირის მეორე პანდემიის ადრეულ ეტაპზე გამოჩნდა, მომდევნო საუკუნეების განმავლობაში დაიშალა მრავალ სხვადასხვა ფორმის ვარიანტად. ჯგუფის თქმით, ამ ვარიანტთა თანამედროვე შთამომავლები ნაპოვნი არ არის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი გადაშენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი აღმოჩენა საბოლოო რეზულტატს არ გვთავაზობს შავი სიკვდილის ეპიდემიის წინაპრის შესახებ, ნამდვილად აჩვენებს, უძველეს გენეტიკურ წარმოშობას ვირუსისა, რომელიც 500-წლიან შავ ჭირად იქცა. ეს კი ბევრ რამეს გვეუბნება უძველეს პათოგენზე, რომელიც შუა საუკუნეებში შავი სიკვდილის ტალღამდე ბევრად ადრე არსებობდა და ხანდახან, ამ დაავადების შემთხვევები დღემდე ფიქსირდება.

კაცობრიობის ასეთი მძლავრი და შეუპოვარი კომპანიონის (Y. Pestis) შესახებ საჭიროა რაც შეიძლება ბევრი ვიცოდეთ. მკვლევართა განცხადებით, შავი ჭირის მეორე პანდემიამ ყველაზე მეტი ადამიანი შეიწირა აღრიცხულ სამ პანდემიას შორის.

კვლევა ჟურნალ Nature Communication-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია shh.mpg.de-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

დედამიწაზე ფოსფორის მარაგი იწურება!

დედამიწაზე კლიმატი სწრაფად თბება, ოკეანეებში იზრდება საშიში მჟავიანობა, შეიმჩნევა მეექვსე მასობრივი გადაშენების დაწყების ნიშნები, არსებობს ბირთვული ომის საშიშროებაც.

თუმცა, ჰორიზონტზე გამოჩნდა კიდევ ერთი კრიზისი, რომლის შესახებ ალბათ არასოდეს გსმენიათ. მეცნიერთა განცხადებით, თუკი მსოფლიო მის იგნორირებას გაგრძელებს, შემდეგი თაობისთვის ამან შეიძლება გლობალური კატასტროფა გამოიწვიოს.

ფოსფორი გადამწყვეტი მინერალია დედამიწის ყველა ცხოველისა და მცენარისათვის, მათ შორის ადამიანებისთვის. ის დნმ-ის სამშენებლო ბლოკია და ძირითადი რესურსი, რომელიც ცოცხალ უჯრედს ენერგიის გადაცემის საშუალებას აძლევს. ფოსფატების ნედლეულიდან მოპოვებულ ფოსფორს აქტიურად იყენებენ სოფლის მეურნეობაში, ნიადაგის გასანოყიერებლად.

პრობლემა ის არის, რომ ფოსფორი განახლებადი ელემენტი არ არის; ამჟამად უცნობია მისი შემცვლელიც, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ის მსოფლიოში სულ რამდენიმე ადგილას მოიპოვება. რაც უფრო დიდი ოდენობით მოიხმარს მას მსოფლიო, ეს გამოლევადი ნივთიერება სულ უფრო ძვირფასი ხდება.

ახლახან, 40 საერთაშორისო ექსპერტისგან შემდგარმა ჯგუფმა გააკეთა გაფრთხილება, რომ თუკი არაფერს მოვიმოქმედებთ ამ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ელემენტის კონსერვაციისთვის, ჩვენს პლანეტაზე მისი მარაგი მალე შეიძლება მთლიანად ამოიწუროს. მხოლოდ გასული 50 წლის განმავლობაში ხუთჯერ გაიზარდა ფოსფორის სასუქის გამოყენება; ამ ტემპით გაგრძელების შემთხვევაში, 2050 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაორმაგდება.

ამ ინდუსტრიის მეცნიერების, უნივერსიტეტების და კვლევითი ინსტიტუტების ცნობით, მსოფლიო სრულიად მოუმზადებელია ფოსფორის კრიზისისთვის.

ეკოლოგ კასპერ რიტცელის განცხადებით, არ არსებობს მსოფლიო მასშტაბის თანამშრომლობა ან კოორდინაცია, მათ შორის არც ევროკავშირსა და აშშ-ში, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს ფოსფორის გლობალურ რესურსზე. ზოგიერთი მოდელი მიუთითებს, რომ მოხმარების ამჟამინდელი მაჩვენებლით, ფოსფორის მარაგი დედამიწაზე 80 წელიწადში ამოიწურება, ზოგიერთის მიხედვით 40 წელში, უფრო კონსერვატიული მოდელით კი ეს 400 წლის შემდეგ მოხდება. თუმცა, ყველა კვლევა თანხმდება, რომ პრობლემა უმნიშვნელოვანესია და საჭიროებს მეტ კვლევას.

პრობლემას, რა თქმა უნდა, მოაგვარებს მოხმარების შემცირება, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია იმის დადგენა, როგორ გამოვიყენოთ ფოსფორი ხელმეორედ. 30 წლის წინ ფოსფორის მთავარი მწარმოებელი მსოფლიოში აშშ იყო; დღეისათვის, გლობალურად მოხმარებული ფოსფორის 45 პროცენტი ინდოეთსა და ჩინეთზე მოდის.

მთელი ამ დროის განმავლობაში, ოდნავ გაუმჯობესდა ამ მინერალის მოპოვებისა და მოხმარების პრაქტიკა. დღეისათვის, ფოსფატით გამდიდრებულ ქიმიურ ხსნარებს გამოფიტულ ნიადაგებს უმატებენ, რაც შემდეგ ზღვებში ჩაედინება. ეს კი არა მხოლოდ აბინძურებს ოკეანეებსა და მდინარეებს, არამედ წარმოქმნის მკვდარ ზონებსაც, სადაც თევზები ვეღარ ცოცხლობენ; იწამლება სასმელი წყალიც.

მკვლევართა განცხადებით, შეკრული წრის გადამუშავების სისტემების საშუალებით, ფოსფატების ხელახლა გამოყენება 46-ჯერ არის შესაძლებელი.

როგორც ფოსფორის საერთაშორისო ექსპერტთა მიერ გავრცელებულ მოხსენებაში წერია, ამ ეტაპზე მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ამ სასიცოცხლო ელემენტის არასწორი მენეჯმენტი.

წლების განმავლობაში უმოქმედობის საპასუხოდ, ავტორები მოუწოდებენ ინდუსტრიებსა და გლობალურ ხელმძღვანელობებს, შექმნან მკვეთავ ნივთიერებათა მდგრადობის პროფესიონალთა ახალი თაობა, რომლებიც ერთობლივად იმუშავებენ ფოსფორის საერთაშორისო მენეჯმენტის უსაფრთხოებაში.

კვლევა ჟურნალ Environmental Science @ Technology-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია The Guardian-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით.

პაპირუსების საიდუმლოებას ფარდა აეხდება

ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა გადაურჩეს პაპირუსის გრაგნილი ვულკანის ამოფრქვევას. კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა წავიკითხოთ ასეთი არტეფაქტი ფიზიკურად გაშლის გარეშე, 2000 წლის შემდეგ.

მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფის განცხადებით, ახლა, როგორც არასდროს, ისე ახლოს ვართ კლასიკური მსოფლიოს ერთადერთი, დღემდე ხელუხლებლად მოღწეული ბიბლიოთეკის „ვირტუალურად“ წაკითხვასთან.

ჰერკულანუმის პაპირუსები 1800-ზე მეტ ტექსტს მოიცავს და წარმოადგენს ამ დრომდე აღმოჩენილ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ადამიანურ არტეფაქტებს. თუმცა, მათი წაკითხვა ნამდვილ თავსატეხად იქცა.

ახ. წ. აღ. 79 წელს, როცა ვულკანი ვეზუვი ამოიფრქვა, ცხელი გაზისა და ფერფლის ზვავმა მაშინვე დაანახშირა. პაპირუსის გრაგნილები ქვანახშირის გორგლებად იქცა.

ორასზე მეტი წლის განმავლობაში, მეცნიერები გადარჩენილი გრაგნილების წაკითხვას ცდილობდნენ. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ გადარჩენილი პაპირუსები პეპლის ფრთებივით მყიფე და მსხვრევადია, მცირე ქმედებაც კი გამოუსწორებელ ზიანს გამოიწვევს, დაშლის გრაგნილს ან გააქრობს მელანს.





წლების განმავლობაში, გრაგნილების გაშლის რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, გამოჩნდა ახალი მეთოდი, რომლითაც შეიძლება, ეს ტექსტები დაზიანების გარეშე წავიკითხოთ. ტექნოლოგია გულისხმობს მაღალი რეზოლუციის სკანერისა და მანქანური სწავლების ალგორითმის კომბინირებას, რაც დანახშირებულ ქაღალდებზე ხილულს გახდის ნახშირბადზე დაფუძნებულ მელანს; მისი ჩვენება რენტგენულ სხივებსაც არ შეუძლია.

ათწლეულების განმავლობაში მუშაობის შემდეგ, უძველეს არტეფაქტთა სახელგანთქმული გამშიფრავი ბრენტ სილსი ფიქრობს, რომ ეს ორნაწილიანი მიდგომა საუკეთესო შანსია მისი ჯგუფისთვის. ჰერკულანუმის პაპირუსების გაშიფვრა სილსის დიდი ხნის მიზანია. ის ახლა ორი ხელუხლებელი გრაგნილის სკანირებისთვის ემზადება; დიდ ბრიტანეთში, ნაწილაკთა ამაჩქარებლით სკანირება ჩაუტარდება „საფრანგეთის ინსტიტუტის“ კუთვნილ ოთხ პატარა ფრაგმენტსაც.

Diamond-ის სახელით ცნობილი ეს მოწინავე სინქროტრონი მზეზე 100 მილიარდჯერ კაშკაშა სინათლის ნაკადებს ისვრის, რაც მკვლევართა ჯგუფს გრაგნილის მოძრაობისა და 360 გრადუსით ხილვის საშუალებას აძლევს.

სილსის განცხადებით, ისინი სულაც არ ელოდებიან, რომ სკანირებების შედეგად ტექსტს მაშინვე წაიკითხავენ, მაგრამ ნამდვილად მიაწვდის საკვანძო ნაწილებს ვიზუალიზაციისთვის.

სილსი და მისი ჯგუფი იმედოვნებს, რომ ამ ციფრული მეთოდის წყალობით ისინი ბოლომდე ჩაიხედავენ ჰერკულანუმის პაპირუსების შრეებში და გაარკვევენ, რა წერია იქ დატანილ ტექსტებში.

რაც ყველაზე უკეთესია, ისაა, რომ ახალი მეთოდის წარმატება უკვე დამტკიცდა მეტალზე დაფუძნებულ მელანზე, რომელიც უფრო იოლი გასაშიფრია. 2015 წელს, სილსმა და მისმა ჯგუფმა ამ მეთოდით, ფიზიკურად გახსნის გარეშე წაიკითხა უძველესი ტექსტები. თუკი იგივე ნახშირბადზე დაფუძნებული მელანის შემთხვევაშიც მოხერხდა, თანამედროვე მსოფლიოსთვის შეიძლება უცაბედად გაიხსნას დაკარგული ინფორმაციის მთელი ბიბლიოთეკა.

მომზადებულია diamond.ac.uk-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით.

◎ წყალბურთი

მეოთხედ – 16 საუკეთესოში

გაისად იანვარში ბუდაპეშტი წყალბურთელ ვაჟთა ევროპის 34-ე ჩემპიონატს უმასპინძლებს. დასკვნით რაუნდში მედლებისთვის 16 საუკეთესო ნაკრები იბრძოლებს. რვა გუნდმა (სერბეთმა, ესპანეთმა, ხორვატეთმა, იტალიამ, საბერძნეთმა, მონტენეგრომ, რუსეთმა და უნგრეთმა) ეს უფლება წინა ევროპაზე დაიბევა, ხოლო რვა ვაკანტური ადგილი საკვალიფიკაციო ჯგუფების პირველ-მეორეადგილოსნებმა შეავსეს. მათ შორისაა საქართველოს ნაკრები, რომელმაც ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება ზედიზედ მეოთხედ დაიმსახურა.

პირველ საკვალიფიკაციო ჯგუფს თბილისის „ოლიმპიკის“ აუზმა უმასპინძლა. ორ საგზურს აქ ქართველები, გერმანელები და შვეიცარიელები ეცილებოდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ალემანებთან შეხვედრა.

საქართველო – გერმანია 9:7 (5:2, 0:1, 1:2, 3:2)

საქართველო: შუბლაძე, ქავთარაძე, ცრეპულია (2), იმნაიშვილი, ბითაძე (2), ელაჩა, ჯახაია (2), ბაღათურია, რურუა (კ), მაგრაქველიძე (1), შუშიაშვილი, ადეიშვილი (2), რაზმაძე.

გერმანია: შენკელი, რეიბელი, კორბელი, რეალი (2), პრეუსი, ჯუენგლინგი (2), სტრელეცკი, გიელენი (1), შულცი, კუკი, რესტოვიჩი (2), ზეჩი, გოეცი.

მატჩის პირველი პერიოდის დასაწყისში გიორგი მაგრაქველიძის გოლს წუთნახევარში მაურიციო ჯუენგლინგის ზუსტი დარტყმა მოჰყვა, მაგრამ მასპინძლებმა რვაწუთიანი მონაკვეთის დარჩენილ დროში უპირატესობა მოიპოვეს და მეტოქის კარი ოთხჯერ აიღეს, რასაც ალემანებმა ერთი გოლით უპასუხეს. დანარჩენი სამი პერიოდი თანაბარ ბრძოლაში გაილია, საქართველოს ნაკრებმა 9:7 გაიმარჯვა და შარშან ბარსელონაში ევროპაზე განცდილი მარცხისთვის (10:11) რევანშიც აიღო.

საქართველო – შვეიცარია 24:7 (6:1, 6:0, 6:4, 6:2)

საქართველო: შუბლაძე, მესხი (2), ცრეპულია (1), იმნაიშვილი, ბითაძე (3), ელაჩა (3), ჯახაია (2), ბაღათურია (2), რურუა (კ), მაგრაქველიძე (1), შუშიაშვილი (7), ადეიშვილი (3), რაზმაძე

შვეიცარია: შიმუკი, კარბალო (1), მ. ჰერცოგი, გეიზერი, მილოვანოვიჩი, ალბერსი, ფ. ჰერცოგი (2), სეზერი, მატიში, დამიანოვი (1), პლეიერი (3).

მთელი შეხვედრის განმავლობაში სრულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და აუტსაიდერთან დიდი ანგარიშით წარმატების მიღწევაც არ გასჭირვებიათ. ჩვენებმა ევროპის ფინალური რაუნდის საგზური მოიპოვეს. აქამდე ქართველმა წყალბურთელებმა დასკვნით ეტაპზე 2014, 2016 და 2018 წლებში იასპარეზეს.

– გერმანიასთან გამარჯვება ჩვენთვის ისტორიული წარმატებაა, – გვითხრა მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რევაზ ჩომახიძემ.** – ალემანთა ნაკრები უდიდესი გამოცდილებისა და შესაძლებლობების გუნდია, ამიტომ მასთან ასეთი შედეგი ნამდვილად საამაყოა. ახლა ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება კარგად ვიასპარეზოთ ჩემპიონთა ლიგაში, რადგან

თბილისის „დინამო“ მთლიანად ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული. ლიგის თამაშებს ეროვნული ნაკრების შესათამაშებლად და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილების გასამდიდრებლად გამოვიყენებთ, რომ გაისად ევროპის ჩემპიონატში ღირსეულად გამოსვლა შევძლოთ.

საკვალიფიკაციო ჯგუფების შედეგები

A **ჯგუფი** (საქართველო): შვეიცარია – გერმანია 7:18, საქართველო – გერმანია 9:7, საქართველო – შვეიცარია 24:7

საქართველო – 6 (33:14), **გერმანია** – 3 (25:16), **შვეიცარია** – 0 (14:42) ქულა.

B **ჯგუფი** (სლოვაკეთი): **სლოვაკეთი** – 9 (44:15), **საფრანგეთი** – 6 (48:20), **ბელარუსი** – 3 (20:48), **უკრაინა** – 0 (17:46) ქულა.

C **ჯგუფი** (მალტა): **რუმინეთი** – 6 (28:14), **მალტა** – 3 (19:23), **პორტუგალია** – 0 (17:27) ქულა.

D **ჯგუფი** (ჰოლანდია): **თურქეთი** – 4 (32:15), **ჰოლანდია** – 4 (29:12), **ლიეტუვა** – 0 (11:45) ქულა.

ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის ფინალში თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი გუნდი გავიდა.

ლექსო ცინცაძე

◎ ნიჩბოსნობა

13 მედალი კვიპროსიდან

ქართველმა ნიჩბოსნებმა კანოე-კაიაკით შესანიშნავად იასპარეზეს კვიპროსის რეგატაში – 6 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

უფროსებში 200 მეტრზე ერთადგილიანი კანოეთი ოქროს მედალი მურმან მალანიას ერგო. ამავე დისტანციაზე ვერცხლის ჯილდო გია გაბედავას ხვდა.

18-წლამდელებში ორადგილიანი კაიაკით (ბაიდარა) 200 მეტრზე პირველი ადგილი დაიკავეს ბაჩანა გოჩაშვილმა და დიმიტრი კალუცკიმ, ხოლო 500 მეტრზე მე-2 ადგილით დაკმაყოფილდნენ. ერთადგილიანი კაიაკით 200 მეტრზე ბრინჯაო ლუკა დობორჯგინიძემ მოიპოვა.

16-წლამდელებში ალექსანდრე წივწივაძემ ორი ოქროს მედალი დაიმსახურა ერთადგილიანი კანოეთი 200 და 500 მეტრზე ასპარეზობაში. ასევე, ორი ოქროს ჯილდო ერგოთ თორნიკე ბერიძესა და ერეკლე ჩხეიძეს, რომლებმაც ორადგილიანი კანოეთი 200 და 500 მეტრზე პირველი ადგილები დაიკავეს, ერთადგილიანი კანოეთი კი ბერიძე მეორე იყო 500 მეტრზე, ხოლო ჩხეიძემ 200 მეტრზე დაიმსახურა ვერცხლის მედალი.

ამავე ასაკის გოგონებში ერთადგილიანი კანოეთი ლიდია სულაბერიძე მეორე იყო 200 და 500 მეტრზე, ერთადგილიანი ბაიდარათი სერგი ბერიკაშვილმა კი 500 მეტრზე მეორე ადგილი დაიკავა. ამავე დისტანციაზე ბერიკაშვილსა და ილია ზარიძეს ორადგილიანი კაიაკით ვერცხლის მედლები ხვდათ.

თამაზ პატარიძე

◎ ქვიშის თამაშები

„ოქრო-ვერცხლიანი“ დებიუტი

ყატარის დედაქალაქ დოჰაში დაიწყო მსოფლიოს პირველი ქვიშის თამაშები, რომელშიც საქართველოს ნაკრები ოთხი მოჭიდავით წარსდგა. ასპარეზობის პირველ დღეს მედლები 70 და 90 კილოგრამ წონით კატეგორიებში გათამაშდა. ორივე წონაში ფინალებამდე გაიკვალეს გზა ლევან ქელეხსაშვილმა (70) და დავით მარსაგიშვილმა (90).

ქელეხსაშვილმა აზერბაიჯანელი პანაჰ ილიასლი, მასპინძელი აბდულრაჰმან იბრაჰიმი, ბრაზილიელი ჟოაო ვიქტორ დოს სანტოს სილვა, უკრაინელი სემიონ რადულოვი დაამარცხა, ნახევარფინალში ბერძენ ნიკოს არზუმანიდისს აჯობა, გადამწყვეტ პაექრობაში კი ისევ პანაჰ ილიასლის მოუგო და სადებიუტო ტურნირის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

მსგავს წარმატებამდე მცირედი დააკლდა მარსაგიშვილს. მომავალმა ფინალისტმა ჯერ აზერბაიჯანელი კანან ალიევი დაჯაბნა, მაგრამ მერე მოულოდნელად პაკისტანელ მუჰამად ინამთან დამარცხდა. მესამე წრეში ქართველმა ფალავანმა პორტუგალიელ ადაო რაფაელ ანდრადე და სილვას მოუგო, მერე თურქი მურატ ოზქანი, რუმინელი მიჰაი ნიკოლაე პალაგია ჩამოიშორა გზიდან და ფინალში ისევ პაკისტანელ ინამს შეხვდა, თუმცა, ვერც ამჯერად მიაღწია მიზანს და საბოლოოდ ვერცხლის მედალს დაყაბულდა.

ლევან გოგოხია

◎ ძიუდო

მარაკეშული ჯილდოებით

ქართველმა ძიუდოისტმა ალექსი დავითაშვილმა (+100) მაროკოულ მარაკეშში ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონატში იჭიდავა. ჩვენებური ოთხჯერ გავიდა ტატამზე და ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო. მან ჯერ ფრანგ კლოდ კარპენტიეს აჯობა, მერე ესპანელ ხოსე მანუელ სალკინეს ფერნანდესს, სლოვაკ პეტერ მარკოვიჩს, ფინალში ბრაზილიელ ელტონ ფიბიგს და ვეტერანებში ტიტული მეოთხედ მოიპოვა.

თანაგუნდელს ღირსეულად აუბა მხარი ვანო გილიგაშვილმაც (100). ქართველმა ფალავანმა ზედიზედ სძლია ბელგიელ ლორენ ლენარტს, ფრანგ ლორენ დელაუნას, ესპანელ ივან ლოპეს ხიმენესს, ჩეხ ირჟი ბლაჰას, ხოლო ფინალში უკრაინელი ოლექსეი ოვჩარენკო გაფრთხილებებით მოახსნევინა. ამავე წონის პირველ წრეში სწორედ ოვჩარენკოსთან წააგო გივი შარიაშვილმა. დამამშვიდებელში მან ბრაზილიელი გლაუბერ არაგაო, გერმანელი მიხაელ როსბერგი, ჩეხი ირჟი ბლაჰა დაამარცხა და ბრინჯაოს მედალიც დაისაკუთრა.



ილია ძიგურაშვილმა (81 კგ) პირველ წრეში ფრანგი გილიომ ჰორნე დაჯაბნა, მეორეში მის თანამემამულე ჟულიენ გროსდის ორი ვაზარი აართვა, ნახევარფინალში მოლდოველ ალექსანდრუ გაინას მოუგო, მაგრამ ფინალი ფრანგ კორენტინ ფარინასთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ლაშა დიდია

◎ ჭიდაობა

ლუკა კვარცხლბეკს ვერ ეღევა

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ვეტერან მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნების აღიარებული წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. 130 კილოგრამ წონით კატეგორიაში წარმატებით იჭიდავა სახელოვანმა ქართველმა ფალავანმა – მსოფლიოს ორგზის, ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა და ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა ლუკა კურტანიძემ, რომელმაც ვეტერანებში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მესამედ მოიპოვა. ჩვენებურმა ნახევარფინალში ირანელი რაჰმინე დაამარცხა, ფინალში კი მონღოლ შურას აჯობა წმინდად.

78 კილოს ფინალში იჭიდავა ჯამბულ სანაკოშვილმა, მაგრამ იგი ოქროს მედლისთვის ბრძოლაში სომეხ ასატრიანთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში გოჩა კირკიტაძეს ბრინჯაოს მედალი ერგო.

გივი გაგუა

◎ ფიგურული ციგურაობა

30 ქულით



17 ქვეყნის 63 წარმომადგენელი მონაწილობდა ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმათიში გამართულ ფიგურულად მოციგურავეთა „ჩელენჯერის“ სერიაში – ცნობილ ყაზახ მოციგურავე დენის ტენის სახელობის საერთაშორისო ტურნირში. საქართველოს სპორტის ღირსებას ერთეულებში მორის ყვითელაშვილი იცავდა. ჩვენებურმა მოკლე და თავისუფალი პროგრამების ქულათა საერთო ჯამით (244,98) პირველი ადგილი დაიკავა და მეორეადგილოსან რუს მაკარ იგნატოვს 30 ქულით აჯობა, ბრინჯაოს მედალი ესტონელ დანიელ ალბერტ ნაურიცის ერგო.

ნინო ხმელიძე

სოფელმა ნიკო დადიანი გაიხსენა

ბერთემი სენაკის რაიონში გამორჩეული სოფელია. ის მდებარეობს კოლხეთის გულში, სადაც ერთმანეთს ერწყმის კავკასიონის ქედიდან მოჩუხჩუხე კამკამა ტეხური და კალმახების საბუდარი გურძემია. ირგვლივ მომნუსხველი მთა-ველებია, აქ დაჰქრის მედეას სული და ქუჯი ეგრისელის ღვთიური ეტლი.

სწორედ ამ ედემში დაიბადა არაერთი გამორჩეული ქართველი საზოგადო მოღვაწე, მათ შორის: „დიდი ნიკო ფილოსოფოსი.“ ასე იცნობდნენ მწერალსა და მე-19 საუკუნეში გამოჩენილ მოღვაწეს, რომელიც გახლავთ ცნობილი დრამატურგის, მწერლისა და მსახიობის შალვა დადიანის მამა.

სარგის ცაიშვილი წერს: **„ნიკო ტარიელის ძე დადიანს ერთი თვალსაჩინო ადგილი მიეკუთვნება, როგორც პოეტს, ბელეტრისტს, ისტორიკოსს, ენათმეცნიერს, პუბლიცისტსა და პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენტს, რომელსაც ქართული სამოციანელების ნამდვილი ხორცი ესხა და მათივე სული ედგა“.**

და აი, სოფელს დაებადა სურვილი, გაეხსენებინა ღირსეული წინაპარი და საზეიმოდ აღენიშნა ნიკო დადიანის დაბადებიდან 175 წლისთავი, რომელსაც ორიგინალურად „სანთლის არ ჩაქრობა“ უწოდეს.

ნიკო დაიბადა 1844 წლის ოქტომბრის დასაწყისში. სწავლობდა ქუთაისის კეთილშობილთა სასწავლებელში. ძალზე ახალგაზრდა დაინტერესდა ფილოსოფიითა და ბუნებისმეტყველებით, მედიცინითა და საქართველოს ისტორიით. წერდა ლექსებს, რომელიც შთამომავლობას ორასამდე შემორჩა.

„მნახეთ, მიცანით, მე ვარ პოეტი, და არა უბრალო მიეთ-მოეთი“...

თითქმის ყველა ლექსში ავლენს ის მოქალაქეობრივ მოვალეობასა და გაბედულებას. განსაკუთრებით დიდია ნიკოს წვლილი საენათმეცნიერო საქმეში. იგი მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი სარედაქციო კომისიის მუშაობაში. მან სცადა პირველად საქართველოს ისტორიის ფილოსოფიური ახსნა. იგი ლექციებს კითხულობდა თბილისში, ქუთაისსა და ფოთში.

დიდი ნიკო აქტიურად მონაწილეობდა თითქმის ყველა ახალ წამოწყებაში. ის დაუნდობლად დაუპირისპირდა ვინმე აშორდიას, როცა ამ უკანასკნელმა რუსი მოხელე იანოვსკისთან ერთად სამეგრელოს სკოლებში ნაცვლად ქართულისა, მეგრულის სწავლების შემოღება მოინდომა.

დასაფასებელია მისი აქტიურობა ძველი საგალობლების აღდგენა – დაცვის საკითხებში. ნიკო დადიანის წერილი ამ თემაზე გამოქვეყნდა ილიას გაზეთ „ივერიაში“. ილიას მოეწონა მწერლის ინიციატივა და დაურთო კომენტარი. შემდგომ მ. ჯანაშვილმა გამოიყენა ნიკოს ბრძნული შენიშვნა და მითითებები, რამაც ბიძგი მისცა საგალობლების განახლებასა და ხელახლა ახმიანებას.

ნიკო მონაწილეობდა წერაკითხვის საზოგადოების ინიციატივით ძველ სენაკში სკოლის გახსნაში და აკაკი წერეთელთან და დიმიტრი ყიფიანთან ერთად წარმოსთქვა შთამბეჭდავი სიტყვა. ნიკო აღფრთოვანებული იყო ფოთი-ყვირილას (ზესტაფონი) რკინიგზის ხაზის გახსნით და თავადვე წამოაყენა წინადადება ჭიათურისკენ რკინიგზის მშენებლობის შესახებ. ამ დროს ნიკო დადიანი გახლდათ



ქუთაისში ერთ-ერთი ბანკის ხელმძღვანელი. თუმცა, მაშინდელი ხელისუფლება უხეშად ჩაერია საქმეში და ბელგიიდან ჩამოყვანილი ინვესტორი გააქცია.

„დიდი ნიკო“ მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული. აი, რას წერს აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია: **„დადიანთა გვარის ყველაზე შესანიშნავი კაცია მე-19 საუკუნეში, მესამე ნიკო – ნიკო ფილოსოფოსი, ქართული ენის ცოდნაში თანამედროვეთაგან მას იშვიათად თუ ვინმე შეედრება, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ზმნაკიდურები.... და მან პირველად სცადა საქართველოს ისტორიის ფილოსოფიური ახსნა“.**

ნ. დადიანი აქტიურად ებმება პოლემიკაში ცნობილ პიროვნებებთან. აღსანიშნავია მისი პასუხი ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლისადმი საბანკო საკითხებზე.

ის იყო ორატორული ნიჭით დაჯილდოებული. მის მიერ წარმოთქმული სიტყვები თბილისში, დიმიტრი ბაქრაძისა და გელათში, გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე შეტანილია მჭევრმეტყველების სახელმძღვანელოში, როგორც ორატორული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები.

წარმატებული საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარალელურად განგებამ ნიკო დადიანს განსაცდელიც არგუნა: დაეღუპა ორი მცირეწლოვანი შვილი, გარდაეცვალა ახალგაზრდა მეუღლე. ძიძის დახმარებით მოუწია ქალ- ვაჟის ისე აღზრდა, რომ ცოლი არ შეურთავს.

საკუთარ ტრაგედიას ის ასე გამოხატავს:

„აქ ჭირი, კვნესა, სოფლის გოდება, აქ ჰგალობს სულის კაეშნის ზარი, აქა სდუღს ცრემლი შენაგუბარი“...

დიდი გულისტკივილი განიცადა ნიკო დადიანმა მაშინაც, როცა ოდა-სახლთან ერთად დაეწვა დადიანთა საგვარეულო ბიბლიოთეკა, უნიკალური წიგნსაცავით. ამავე დროს დაეწვა ხელნაწერებიც. დაკარგა ნაღვაწი, გამოუქვეყნებელი ნაშრომები.

სამწუხაროა, რომ ნიკო დადიანი შემოქმედებით სიმწიფის ასაკში – 52 წლისა უეცრად ყირიმში გარდაიცვალა. იგი სტუმრად იმყოფებოდა მაშინდელ ტავრიდის გუბერნიაში, იქ იყვნენ მისი ახლო ნათესავები – სვანეთის მთავრის კონსტანტინე (მურზაყან) დადეშქელიანის შვილი (ეს ის კონსტანტინე დადეშქელიანია, რომელმაც 1857 წელს ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი მოკლა და რისთვისაც დახვრიტეს. ნიკო მოგზაურობისას გაცივდა, ავადმყოფობა ვერ გადაიტანა და გარდაიცვალა.

მაშინდელი ჟურნალ-გაზეთები დიდი გულისტკივილით იუწყებოდნენ „დიდი ნიკო ფილოსოფოსის“ მოულოდნელ გარდაცვალებას. გამოსათხოვარ სიტყვებში ერთ-ერთმა ორატორმა ბრძანა „ნიკოს იმქვეყნად წასვლით სამეგრელოს წელი მოსწყდაო.“

თითქმის იგივე ბედი ეწია მის თანამედროვესა და სენაკის ღირსეულ შვილს გიორგი ჭალადიდელს. ისიც 52 წლის ასაკში საქართველოდან შორს გარდაიცვალა, ჩამოასვენეს და მშობლიური სოფლის ეკლესიის ეზოში მიაბარეს მიწას, როგორც ნიკო დადიანი.

მაქვს პატივი, ვუვლიდე სოფელ ბერთემში ნიკო დადიანისა და სენაკის კულტურისა და დასვენების პარკში გიორგი ჭალადიდელის სამარტვილეს. შესაძლებლობის ფარგლებში ვახერხებ მოეწყოს მათი გახსენების დღეები, რომ არ ჩაქრეს წინაპართა ხსოვნის სანთელი.

შევძელი საკუთარი ხარჯებით გამომეცა გ. ჭალადიდელის ლექსების კრებული „რჩეული“, თუმცა, დღემდე ვერ მოხერხდა ნ. დადიანის შემოქმედების ერთ წიგნად აკინძვა და გამოცემა. უფალი ჩვენთან არს და მომავალში მოხერხდება, საზოგადოებას გავაცნოთ დიდებული წინაპრის ნაღვაწი.

სოფელი თავისი შვილებითაა ძლიერი და ამაყი. საოცარი სიყვარული და მოწიწება იგრძნობოდა იმ დღეს ბერთემში. ნიკო და შალვა დადიანების ღვაწლზე ამაყად საუბრობდნენ თანასოფლელები და მოწვეული სტუმრები... ისინი მომავალ თაობებს აჯერებდნენ, რომ სამშობლოსა და სოფლისთვის თავდადება არ ივიწყება...

ბორის დავითაია,
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.

◎ არდავიწყება

თამაზ ჭილაძის წლისთავი
(რეკვიემი)

ერთი წლის შემდეგ სასაფლაოს მკაცრ სიჩუმეში
კვლავ დავინახე შენი ლანდი ხეების იქით.
თამაზ ჭილაძე

ერთი წელია, არ რედაქტორობ „მნათობს“,
ერთი წელია, ყვავილი არ ჰგავს ყვავილს,
ერთი წელია, არ ჩამოსულხარ ბათომს,
ერთი წელია, ვერ მოგიდულეთ ყავა.

ერთი წელია, არ აგიღია ჭიქა,
ერთი წელია, აღარ ეწევი თუთუნს,
ერთი წელია, გვყავხარ აქაც და იქაც,
ერთი წელია, ერთი წელია, ნუთუ?!

ერთი წელია, არ დამირეკავს შენთან,
ერთი წელია, არ დაგირეკავს ჩემთან,
ერთი წელია, აღარ ვყოფილვართ ერთად,
ერთი წელია, რაც აღარ გვწყალობს ღმერთი.

ერთი წელია, აღარ თამადობ ძმებთან,
ერთი წელია, აკლიხარ ქართულ სიტყვას,
ერთი წელია, სიცოცხლე გაგვიძნელდა,
ერთი წელია, ჟამი ცხვირ-პირში გვირტყამს.

ერთი წელია, შენს მარგინალურ საფლავს,
ერთი წელია, მოსავს სამოთხის ვარდი,
ერთი წელია თინა ჭილაძე დაფნავს,
ერთი წელია, ცრემლშეუმშრალი დადის.

ერთი წელია, მამადავითი გეძებს,
ერთი წელია, ჰყვავის სამოთხის ვაშლი,
ერთი წელია, უფალი ფიქრობს შენზე,
ერთი წელია შენს წინაშე ვართ ვალში,
ერთი წელია!..

შოთა ზოიძე,
ბათუმი, 2019, ოქტომბერი

სანთელი

გურამ ქაშაკაშვილი შვილებით, შვილიშვილებით თანაგრძნობას უცხადებს ხელოვნებაზე დამაშვრალ ქალბატონ ნინო ფარნაოზის ასულ ლაპიაშვილს დედის

ეთერ ლაპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

იმერეთში „მოწამეთობა“ იზეიმეს

გუშინ „მოწამეთობა“ აღინიშნა. მართლმადიდებელმა მრევლმა ქართველი წმინდანების – დავითისა და კონსტანტინეს ხსენების დღე ქუთაისში განსაკუთრებით აღნიშნეს.

ტაძარში ტრადიციულად საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინეს. ამ დღის აღსანიშნავად მორწმუნეები იმერეთში საქართველოს სხვა კუთხიდანაც ჩადიან.

გადმოცემის თანახმად, მოწამეთას ტაძარი სწორედ იმ ადგილზეა აგებული, სადაც არგვეთის მთავრები – დავითი და კონსტანტინე მურვან ყრუს შემოსევის დროს აწამეს. დღესასწაული, ტრადიციულად, 15 ოქტომბერს აღინიშნება.

მოწამეთას ტაძარში წირვა მეუფე იოანემ აღავლინა. წირვას მრევლთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

გილოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ძოგულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი მეგობრული სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, ჩვენი ქვეყნის საინჟინრო ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელს, პარტიულ და სამეურნეო ცნობილ მოღვაწეს, თბილისის ყოფილ „საქარხნო“ რაიკომის მეორე და ჩოხატაურის რაიონის პირველ მდივანს, საქართველოში ნავთობისა და გაზის მრეწველობის აღორძინების ერთ-ერთ გამორჩეულ თანამოაზრეს, ყოფილ „საქნავთობის“ გენერალურ დირექტორს, ძმობისა და მეგობრობის უბადლო ოსტატს, დიდებულ მამულიშვილსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

გია მახარაძეს.

14 ოქტომბერი, 2019 წელი.

რობოტი მზია საერთაშორისო კონკურსზე მიემგზავრება

რობოტი, რომელიც ქართველმა მოსწავლეებმა შექმნეს, კალათბურთს თამაშობს და აზიდვებს აკეთებს. მთავარი მისი მიღწევა გარემოს დამაბინძურებელი ნარჩენების შესრუტვაა.

მოსწავლეების თქმით, First Global-ზე გამოქვეყნებული დავალების მიხედვით იმუშავეს. წლევანდელი თემა ოკეანის დაბინძურება იყო და რობოტი მზიაც ამ თემასთან დაკავშირებით შეიქმნა, რომლის მთავარი ფუნქცია ნარჩენების შეგროვება და შემდეგ მათი გადამამუშავებელ პუნქტში გადასროლაა.



მოსწავლეების თქმით, ამ რობოტის შექმნაზე სამი თვის განმავლობაში მუშაობდნენ და მანამდე შიდა შეჯიბრი ჰქონდათ, რომელში გამარჯვების შემდეგაც, დიდი ინტენსივობით დაიწყეს მუშაობა. რაც შეეხება სახელს, რადგან საქართველო უკვე 3 წელია ამ კონკურსში მონაწილეობს და წინა ორ წელს რობოტს კაცის სახელი ერქვა, მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, ქვეყნისთვის ისტორიული თემატიკის შემცველი ქალის სახელი შეერჩიათ.

კონკურსი First Global ყოველწლიურად იმართება და მასში 190 ქვეყანა მონაწილეობს. ორგანიზატორების მთავრი მოთხოვნაა, მონაწილეებმა სხვადასხვა ფუნქციის მქონე რობოტი შექმნან.

საქართველომ შარშან ამ კონკურსზე მე-3 ადგილი დაიკავა.

ხაჭაპურის ფესტივალი სამეგრელოში

19 ოქტომბერს სამეგრელოში ხაჭაპურის ფესტივალი გაიმართება. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, წლის ყველაზე გემრიელი ღონისძიება საქართველოში პირველად ჩატარდება.

სტუმრებს საშუალება ექნებათ ყველა სახეობის უგემრიელესი ხაჭაპური დააგემოვნონ და ცნობილი შეფ-მზარეულების მასტერ-კლასებს დაესწრონ.

ფესტივალზე გამარჯვებულებს სპეციალური საჩუქრები გადაეცემათ. ხაჭაპურის ფესტივალი ერთდღიან გასტრონომიულ ღონისძიებას წარმოადგენს, რომელიც სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) ინიციატივით, და USAID პროექტი „ზრდას“, რეგიონული ხელისუფლების, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და რუხის საავაჭრო ცენტრის მხარდაჭერით, საქართველოში პირველად გაიმართება.



რა სიმაღლისაა ევერესტი?

ნეპალი და ჩინეთი ევერესტის მთის სიმაღლის გაზომვაზე შეთანხმდნენ. ამის შესახებ სააგენტო ANI სახელმწიფოების საერთო განცხადებაზე დაყრდნობით წერს.

გამოცემის ინფორმაციით, შესაბამისი გადაწყვეტილება გეოლოგების დასკვნის შემდეგ მიიღეს, რომლებიც ვარაუდობენ, რომ 2015 წლის მიწისძვრის შემდეგ მთა შესაძლოა რამდენიმე სანტიმეტრით დაბალი ან მაღალი გახდა.

ნეპალის მთავრობამ ევერესტის სიმაღლის გაზომვის გეგმების შესახებ ჯერ კიდევ 2017 წელს განაცხადა. 2019 წელს მთაზე ალპინისტების ჯგუფი ავიდა. სავარაუდოდ, მათი ექსპედიციის შედეგები 2020 წლის ბოლოს გამოქვეყნდება.

ამჟამად ევერესტის ოფიციალურ სიმაღლედ 8848 მეტრი ითვლება. ეს მონაცემები ინდოეთის გეოლოგიის სამსახურს ეკუთვნის. ევერესტი დედამიწის ყველაზე მაღალი მწვერვალია და ნეპალის და ჩინეთის საზღვარზე მდებარეობს.

ტოკიოს მოდის კვირეული კიმონოების ჩვენებით გაიხსნა

ტოკიოში მოდის კვირეული ტრადიციული, ეროვნული სამოსის თანამედროვე მოდელების ჩვენებით გაიხსნა.

დეფილე ასაფრენ ბილიკზე მოეწყო. ჩვენებას იაპონელი როკმუსიკოსის იოშიკის აკომპანიმენტი აფორმებდა, რომელიც ამავროულად დიზაინერის ამპლუაში წარსდგა.

ტოკიოს მოდის კვირეული 20 ოქტომბრამდე გაგრძელდება და მასში 42 ადგილობრივი ბრენდი მიიღებს მონაწილეობას.

გალერეიდან სალვადორ დალის ნახატი 32 წამში მოიპარეს

სან-ფრანცისკოს ხელოვნების გალერეიდან სალვადორ დალის ცნობილი ნახატი „ჟირაფი ცეცხლში“ 32 წამში მოიპარეს. ტელეარხმა ABC7-მა შემთხვევის ამსახველი კადრები გამოაქვეყნა, რომელიც სათვალთვალო კამერამ გადაიღო.



კადრებში ჩანს კაცი, რომელიც Dennis Rae Fine Art-ში შედის, საიდანაც ნახატი ქუჩაში გამოაქვს და გზას აგრძელებს. გალერეა სალვადორ დალის ნამუშევრებს მასპინძლობს, ეს ნახატი კი ყურადღების მისაქცევად ვიტრინაში იყო გამოფენილი.

გალერეის დირექტორის თქმით, მძარცველს თანამზრახველი ჰყავდა, რომელმაც თანამშრომელს ყურადღება გადაატანინა, სანამ ბოროტმოქმედი 20 000 დოლარის ღირებულების ნახატს მოიპარავდა.

სალვადორ დალიმ „ჟირაფი ცეცხლში“ 1966-1967 წლებში პაბლო პიკასოს შემოქმედების გავლენით დახატა.

მიცვალებულმა ჭირისუფლები გაამხიარულა

ირლანდიაში მიცვალებულმა საკუთარ დაკრძალვაზე ჭირისუფლები გაამხიარულა. როგორც Dailymail-ი წერს, შეიარაღებული ძალების ვეტერანის შეი ბრედლის დაკრძალვის ცერემონიალზე კუბოდან მოულოდნელად ჯერ კაკუნის, შემდეგ კი მიცვალებულის ხმა მოისმა: „სად ვარ, ეშმაკმა დალახვროს?! გამომიშვით აქედან! აქ ბნელა. ეს მოძღვარია? მე შეი ვარ და ყუთში ვარ. მე მოვკვდი.“ — ისმოდა ამგვარი ხმები.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ხმა ბრედლიმ ჭირისუფლების გასამხიარულებლად სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ჩაწერა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვებან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9701; ევრო - 3.2778;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7328;
100 რუბლი - 4.6307; თურქული ლირა - 0.5055;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7470;
1000 სომხური დრამი - 6.2266.

ამინდი 16 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+9,	დღე	+26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge